

**XXII. წლიური ანგარიშის დანართი №1. 2010 წლის არაკონსოლიდირებული ფინანსური და  
ბუღალტრული ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად**

## შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....	1
---------------------------------------	---

### ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება .....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....	6

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1 ინფორმაცია კომპანიის შესახებ .....	7
2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა.....	7
3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და ინფორმაციის გახსნაში .....	15
4 გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის ჯერ ძალაში შესული.....	15
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები .....	17
6 შემოსავლები .....	19
7 სხვა შემოსავლები .....	19
8 შესყიდული ელექტროენერგია.....	20
9 ხელფასები და დამატებითი გადახდები თანამშრომელთათვის .....	21
10 რეზერვებისა და გაუფასურების რევერსირება.....	21
11 გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.....	22
12 სხვა საოპერაციო ხარჯები .....	23
13 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები.....	23
14 მოგების გადასახადი .....	24
15 ძირითადი საშუალებები .....	26
16 არამატერიალური აქტივები .....	30
17 სავაჭრო დებიტორული დავალიანება .....	31
18 წინასწარი გადახდები და სხვა დებიტორული დავალიანება .....	32
19 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები .....	33
20 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	33
21 საკუთარი კაპიტალი .....	33
22 სესხები და თამასუქები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები .....	34
23 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება .....	36
24 სხვა საგადასახადო დავალიანება .....	37
25 ფინანსური რისკის მართვა.....	37
26 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება .....	40
27 ვალდებულებები.....	41
28 პირობითი ვალდებულებები.....	41
29 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	43
30 შედარებითი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია .....	44
31 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....	45



## **დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა სს „თელასის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას**

ჩვენ ჩავატარეთ სს „თელასის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2010 წლის 31 დეკემრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე საერთო შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული პერიოდისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებებს.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასეთი პასუხისმგებლობა გულისხმობს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უსუსტობების გარეშე შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

### **აუდიტორთა პასუხისმგებლობა**

ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უსუსტობებს.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე მტკიცებულებების მოსაპოვებლად. შერჩეული მეთოდოლოგია დამოუკიდებელია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უსუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უსუსტობა დაშვებული უნებლიეთ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშავოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის დროს მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და სათანადო საფუძველს გვიქმნის აუდიტორული დასკვნის წარსადგენად.

### **დასკვნა**

ჩვენი აზრით, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს სს „თელასის“ ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### **ბაზგასმ**

გვსურს თქვენს ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაზე 29, რომელშიც განმარტებულია კომპანიის ტრანზაქციების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, ასევე ინფორმაცია კომპანიის მსხვილ აქციონერთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან დაფინანსების ოპერაციების მნიშვნელოვან თანხებზე.

15 მარტი 2011 წელი

სს „თელასი“  
ანგარიში საერთო შემოსავლების შესახებ

<b>შემოსავლები</b>			
შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან	6	229,989	215,687
სხვა შემოსავლები	7	12,571	6,635
<b>ხარჯები და სხვა დაქვითვები</b>			
შესყიდული ელექტროენერგია	8	(91,601)	(95,953)
ხელფასები და სხვა დამატ. გადახდები თანამშრ.	9	(44,817)	(43,135)
რეზერვებისა და გაუფასურების რევერსირება	10	705	11,297
ცვეთა და ამორტიზაცია	15, 16	(11,154)	(5,754)
ძირითადი საშუალებების გადაფასება	15	-	(48,099)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	11	(3,347)	(4,761)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(22,109)	(24,095)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება</b>		<b>70,237</b>	<b>11,822</b>
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები</b>			
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	13	2,131	297
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	13	(18,887)	(13,759)
<b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე</b>		<b>53,481</b>	<b>(1,640)</b>
მოგების გადასახადის ხარჯები	14	(5,125)	(597)
<b>მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში</b>		<b>48,356</b>	<b>(2,237)</b>
<b>სხვა საერთო შემოსავლები</b>			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	15	-	56,466
გადაფასებული მოგების გადასახადი	14	-	(8,470)
<b>სულ საერთო შემოსავლები წლის განმავლობაში</b>		<b>48,356</b>	<b>45,759</b>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2011 წლის 15 მარტს.

გენერალური დირექტორი  
იური პიმონოვი

ფინანსური დირექტორი  
ედუარდ ოგანესიანი

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თელასი“  
ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ათასი ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2010	31 დეკემბერი 2009
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	15	170,627	154,593
გადავადებული საგადასახადო აქტივები	14	-	3,195
არამატერიალური აქტივები	16	4,066	1,494
რესტრუქტურ. დებიტ. დავალიანება, გრძელვ. ნაწილი	17	4,909	5,044
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>179,602</b>	<b>164,326</b>
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	19	12,347	9,591
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	17	32,869	37,149
წინასწარი გადახდები და სხვა დებიტორული დავალ.	18	7,110	9,254
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20	15,244	3,660
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>		<b>67,570</b>	<b>59,654</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>247,172</b>	<b>223,980</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	21	81,148	81,148
გადაფასების რეზერვი	21	79,384	80,103
აკუმულირებული ზარალი		(139,897)	(188,972)
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>20,635</b>	<b>(27,721)</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
სესხები და თამასუქები, რომლებსაც ერიცხება პროცენტი	22	66,440	76,426
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	14	584	-
რესტრუქტურირებული საგადასახადო ვალდებულებები	24	-	3,424
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>67,024</b>	<b>79,850</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
სესხები და თამასუქები, რომლებსაც ერიცხება პროცენტი	22	11,207	4,633
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	23	130,960	136,928
მოგების გადასახადის დავალიანება		-	1,638
სხვა საგადასახადო დავალიანება	24	16,677	20,157
რეზერვები	10	669	8,495
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>159,513</b>	<b>171,851</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>247,172</b>	<b>223,980</b>

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სს „თელასი“  
ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2010</b>	<b>2009</b>
<b>ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	278,681	262,802
შესყიდულ ეე-ზე მიმწოდებლებ. გადახდილი ფულადი სახსრები	(104,249)	(105,741)
თანამშრ. და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(43,260)	(43,629)
დღგ და სხვა გადასახადები, მოგების გადახდილი გადასახადის გარდა	(41,673)	(39,475)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(26,131)	(26,966)
<b>საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები</b>	<b>63,368</b>	<b>46,991</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	(4,128)	(983)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>59,240</b>	<b>46,008</b>
<b>ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(28,149)	(26,334)
ძირითადი საშუალებების გასვლა	20	148
საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	671	296
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>(27,458)</b>	<b>(25,890)</b>
<b>ფულადი სახსრების ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან</b>		
შემოსავლები სესხებიდან და კრედიტებიდან	-	18,200
სესხებისა და კრედიტების დაფარვა	(13,176)	(30,685)
გადახდილი პროცენტები	(5,923)	(6,984)
ფინანსური რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებული საკომისიო	(713)	-
<b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>(19,812)</b>	<b>(19,469)</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(386)	3
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>	<b>11,584</b>	<b>652</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3,660	3,008
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>15,244</b>	<b>3,660</b>

**მნიშვნელოვანი არაფულადი ტრანზაქციები:**

ძირითადი საშუალებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაა 3,538 ათასი ლარი (2009: ნული), გადმოცემულ იქნა სახელმწიფო სუბსიდიის სახით (შენიშვნა 7);

ძირითადი საშუალებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაა 477 ათასი ლარი (2009: 677 ლარი), გადმოცემულ იქნა მომხმარებელთა მიერ უსასყიდლოდ (შენიშვნა 7).

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თელასი“

ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული დეფიციტი	სულ
<b>ბალანსი, 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>81,148</b>	<b>32,390</b>	<b>(187,018)</b>	<b>(73,480)</b>
ზარალი წლის განმავლობაში სხვა საერთო შემოსავლები წლის განმავლობაში	-	-	(2,237)	(2,237)
	-	47,996	-	47,996
<b>სულ საერთო შემოსავლები წლის განმავლობაში</b>	<b>-</b>	<b>47,996</b>	<b>(2,237)</b>	<b>45,759</b>
ამორტიზაციის დარიცხვა გადაფასებულ ძირითად საშუალებებზე	-	(283)	283	-
<b>ბალანსი, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>81,148</b>	<b>80,103</b>	<b>(188,972)</b>	<b>(27,721)</b>
მოგება წლის განმავლობაში	-	-	48,356	<b>48,356</b>
სულ საერთო შემოსავლები წლის განმავლობაში	-	-	48,356	<b>48,356</b>
ამორტიზაციის დარიცხვა გადაფასებულ ძირითად საშუალებებზე	-	(719)	719	-
<b>ბალანსი, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>81,148</b>	<b>79,384</b>	<b>(139,897)</b>	<b>20,635</b>

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**1 ინფორმაცია კომპანიის შესახებ**

სს „თელასი“ („კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ვანის ქ. 3, თბილისი 0154, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტრული ენერჯის შესყიდვა და განაწილება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო სექტორების მომხმარებლებზე თბილისში, საქართველო.

კომპანია მთლიანად Silk Road Holdings B.V (სათაო კომპანია) მფლობელობაშია, ხოლო კომპანიის მშობელი კომპანიაა ლს „ინტერ რაო ეეს“-ი (მშობელი კომპანია).

მხარე, რომელიც აკონტროლებს ლს „ინტერ რაო ეეს“-ს არის რუსეთის ფედერაციის მთავრობა.

კომპანიის დაფინანსების უმეტესი წილი მოდის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ მხარეებზე. შედეგად, კომპანია ეკონომიურად დამოკიდებულია მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებებზე. 2011 წლის 5 მარტით დათარიღებულ წერილში, მშობელმა კომპანიამ დაადასტურა თავისი შესაძლებლობები და განზრახვა, აღნიშნული თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, უზრუნველყოს კომპანიის მხარდაჭერა, რათა კომპანიამ შეძლოს თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულება, გადახდის თარიღის დადგომის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან გახსნილია შენიშვნაში 29.

**2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა**

**(a) მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, საწყისი ღირებულების მეთოდის მიხედვით, რომელიც შემდეგ შესწორდა სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარების და იმ ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად, რომლებიც ასახულია გადაფასებული თანხით.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. ეს პრინციპები გამოყენებული იყო ყველა წარმოდგენილი პერიოდისათვის, თუ სხვა რამ არ იყო მითითებული.

**(b) ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ლარი (“GEL”), რომელიც, ამავდროულად, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**(c) უცხოური ვალუტა**

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსის თანახმად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღრიცხულია ტრანზაქციის თარიღისათვის დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და საწყისი ღირებულებით ასახული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლის კურსის შესაბამისად. სამართლიანი ღირებულებით ასახული უცხოურ ვალუტაში გამოხატული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში გაცვლის იმ კურსის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის. ასეთი ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ასახულია წლის განმავლობაში მიღებულ მოგებასა და ზარალში.

**(d) ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები თავიდან აისახება თვითღირებულების მიხედვით, ხოლო შემდეგ გადაფასებული ღირებულების შესაბამისად. თვითღირებულება მოიცავს აქტივების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს.

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა (გაგრძელება)**

საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობამდე მიყვანასთან, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ასევე ობიექტის დემონტაჟთან, გატანასა და სამუშაოების წარმოების ადგილის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს. შექმნილი კომპიუტერული პროგრამების, რომლებიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზაცია ხორციელდება ამ მოწყობილობის შემადგენელი ნაწილის სახით. როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტი შეიცავს სასარგებლო გამოყენების სხვადასხვა ვადის მქონე ძირითად კომპონენტებს, მათი აღრიცხვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტების სახით.

ძირითადი საშუალებების გადაფასება ხორციელდება რეგულარულად იმისათვის, რომ საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან, რომელიც დადგენილ უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულების მეთოდის საშუალებით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალების ობიექტის ღირებულების ზრდა უშუალოდ აისახება საერთო შემოსავლებში და იწვევს საკუთარ კაპიტალში გადაფასების რეზერვის ზრდას. შემცირება, რომელიც იგივე აქტივის წინა ზრდის კომპენსირებას ახდენს, აისახება სხვა საერთო შემოსავლებში და ამცირებს საკუთარ კაპიტალში წინა გადაფასების შედეგად წარმოქმნილ რეზერვს; ყველა სხვა შემცირება აღირიცხება მოგებისა და ზარალის შესახებ წლიურ ანგარიშში. გადაფასების თარიღისათვის ნებისმიერი დაგროვებული ამორტიზაციის, გაუფასურების შედეგად მიღებულ ზარალთან ერთად, ლიკვიდაცია ხორციელდება აქტივის მთლიანი თანხის ხარჯზე, ხოლო წმინდა ნაშთი ხელახლა უნდა იქნეს განსაზღვრული აქტივის გადაფასებული ღირებულების მიხედვით. საკუთარ კაპიტალში არსებული გადაფასების რეზერვი გადატანილ უნდა იქნეს გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც გადაფასების ნამეტის რეალიზაცია ხორციელდება აქტივის გასვლის ან ლიკვიდაციის დროს. კომპანია ძირითადი საშუალებების გადაფასებასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვას ახორციელებს უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

აქტივის გასვლის დროს მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აისახება წლიურ ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ხელმძღვანელობა ახორციელებდა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნის არსებობის დადგენას. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებდა ჩანაცვლების ღირებულების შეფასებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის ყველაზე მაღალ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდად გაწეული ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულება. საბალანსო ღირებულება შემცირებულ იქნა ჩანაცვლების ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურებით მიღებული ზარალი აისახა მოგებისა და ზარალის შესახებ წლიურ ანგარიშში იმ ოდენობით, რომლითაც იგი აღემატება გადაფასების წინა ნამეტს საკუთარ კაპიტალში. წინა წლების განმავლობაში აქტივის გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის რევერსირება, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდებოდა იმ შეფასებებში ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც გამოყენებული იყო აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდად გაწეული ხარჯები განსაზღვრისათვის.

**(I) შემდგომი ხარჯები**

ძირითადი საშუალების ობიექტის იმ კომპონენტის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების, რომლის აღრიცხვა ცალკე წარმოებს, კაპიტალიზაცია ხორციელდება ჩამოსაწერი კომპონენტის საბალანსო ღირებულების სახით. რემონტსა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოებზე გაღებული ხარჯების ასახვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა სხვა ხარჯის ასახვა ხდება ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ, გაღებული ხარჯების სახით.

**(II) ამორტიზაცია**

ამორტიზაციის ასახვა ხორციელდება ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ ინდივიდუალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადაზე თანაბარი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით. აქტივის ამორტიზაცია იწყება, როდესაც იგი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება. მიწის ამორტიზაცია არ ხორციელდება.

- სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები შემდეგია:
- შენობები 50 წლამდე
- მანქანები და მოწყობილობები 15-დან 30 წლამდე
- საკუთნოები და ინვენტარი 5-დან 15 წლამდე
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები 5 წლამდე

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა (გაგრძელება)

(e) არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულების შესაბამისად, დაგროვებული ამორტიზაციის გამოკლებით. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოწერილ უნდა იქნეს გამოყენებაში უმაღლეს ფასეულობამდე და სამართლიან ღირებულებამდე, გასაყიდად გაღებული ხარჯების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხორციელდება სასარგებლო გამოყენების ვადაზე თანაბარი დარიცხვის მეთოდის საშუალებით იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდა.

ქვემოთ ნაჩვენებია სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები:

- კომპიუტერული პროგრამები და ლიცენზიები 10 წლამდე

(f) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აისახება თვითღირებულებიდან უმცირესის და რეალიზაციის შესაძლო წმინდა ღირებულების თანახმად. რეალიზაციის შესაძლო წმინდა ღირებულება წარმოადგენს გაყიდვის სავარაუდო ფასს საქმიანობის ნორმალურ პირობებში, სამუშაოების დასასრულებლად სავარაუდო დანახარჯებისა და გასაყიდად გაღებული ხარჯების გამოკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება საშუალოშეწონილი ღირებულების მეთოდის შესაბამისად და მოიცავს მათი შეძენის, მიწოდების და არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე დაყვანისათვის გაწეულ ხარჯებს.

(g) ფინანსური აქტივები

(i) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება

IAS 39 თანახმად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, მოგებასა და ზარალში ასახული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების, სესხებისა და დებიტორული დავალიანების, დაფარვამდე გადადებული ინვესტიციების, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების, ან ჰეჯირებისათვის განკუთვნილი წარმოებული ფინანსური აქტივის სახით, საჭიროების შემთხვევაში, ჰეჯირების განხორციელებისას. ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც კომპანიის მფლობელობაშია 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლასიფიცირებულია სესხებისა და დებიტორული დავალიანების სახით და მოიცავს აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 17), რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 17), წინასწარი გადახდები და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 18) და ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (შენიშვნა 20).

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება ხორციელდება გარიგების თარიღით, როდესაც კომპანია იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას აქტივთან დაკავშირებით.

სესხები და დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის ბრუნვაში აქტიურ ბაზარზე. ასეთი აქტივების საწყისი აღიარება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებას პლუს გარიგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯების სახით. საწყისი შეფასების შემდეგ, ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, პროცენტის ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზირებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შეძენაზე დანამატის, აგრეთვე საფასურებისა ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც EIR-ის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. EIR-ის გამოყენებით განხორციელებული ამორტიზაცია შედის მოგების და ზარალის შესახებ ანგარიშის ფინანსური შემოსავლების კატეგორიაში. გაუფასურებით მიღებული ზარალი აისახება საერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში, ფინანსური ხარჯების კატეგორიაში.

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

**2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(II) ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება სახელშეკრულებო უფლებები აქტივიდან მიღებული ფულადი სახსრების ნაკადზე, ან იგი, ხელშეკრულების საფუძველზე, გადასცემს უფლებებს ფინანსური აქტივიდან შემოსული ფულადი სახსრების მიღებაზე გარიგების თანახმად, რომლის მიხედვითაც არსებითად ხორციელდება ასეთი ფინანსური აქტივების ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა. ნებისმიერი მონაწილეობა, რომელიც შექმნა ან შეინარჩუნა კომპანიამ გადაცემულ აქტივთან დაკავშირებით, აღიარებულ უნდა იქნეს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

**(III) რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება**

კომპანია, ვადაგასული სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოსაღებად, პერიოდულად, დებს ხელშეკრულებებს ვადაგასული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირების მიზნით, პორციების სახით, რომელიც მომხმარებელმა უნდა გადაიხადონ ყოველთვიურად. კომპანია რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებას არ არიცხავს პროცენტებს; შესაბამისად, იგი რესტრუქტურირების შედეგად მიღებული ზარალის ასახვას ახორციელებს იმ თანხის სახით, რომელიც რესტრუქტურირებულ ვადაგასული დებიტორული დავალიანების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასა და რესტრუქტურირების თარიღით მის სამართლიან ღირებულებას შორის არსებული განსხვავების ტოლია. რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება, მსგავსი სესხებისათვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მითითებით, რომელიც ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკურ ბიულეტენში.

**(iv) ფინანსური აქტივების გაუფასურება**

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის მომხდარი შემთხვევა“), ხოლო ზარალის დადგომის შემთხვევა ზეგავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა შეფასება დასაბუთებულად არის შესაძლებელი. გაუფასურების მტკიცებულება შეიძლება შეიცავდეს იმის ნიშნებს, რომ მევალე ან მევალეა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტების გადახდასთან ან ვალის ძირითადი ნაწილის გადახდასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და როდესაც ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგასული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებიც კორელაციაშია აქტივების შესაბამისად მიღებულ ზარალთან.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანებისათვის, გადახდების ვადის დარღვევა მიჩნეულია გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად. რეზერვის ოდენობის შეფასება ხორციელდება დაგვიანებული გადახდის ფარდობითი ღირებულების შედარების საფუძველზე დასაფარი დებიტორული დავალიანების მთლიან თანხასა და მომხმარებლის ქცევის არსებულ სტატისტიკურ ისტორიასთან მსგავს გარემოებებში.

კომპანია თითოეული ფინანსური აქტივის შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით ახორციელებს ინდივიდუალურად.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (რაც არ ითვალისწინებს სესხების შესაბამისად მომავალში მოსალოდნელ ზარალს, რომელიც ჯერ არ დამდგარა). ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის საწყისი მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. თუ სესხზე დარიცხული პროცენტების განაკვეთი იცვლება, გაუფასურებით მიღებული ზარალის განსაზღვრისათვის დისკონტირების განაკვეთი იქნება მიმდინარე მოქმედი საპროცენტო განაკვეთი.

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხებისა და დებიტორული დავალიანების ჩამოწერა, ასოცირებულ რეზერვთან ერთად, ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს რეალისტური პროგნოზი იმისა, რომ მომავალში შესაძლებელია მათი ამოღება, სესხის ყველა უზრუნველყოფა რეალიზებულია ან გადაეცა კომპანიას. თუ მომდევნო წლის განმავლობაში, გაუფასურებით მიღებული ზარალის ოდენობა გაიზარდა ან შემცირდა იმ მოვლენის გამო, რომელიც გაუფასურების აღიარების შემდეგ დადგა, ხორციელდება გაუფასურებით მიღებული ადრე ასახული ზარალის ზრდა ან შემცირება სესხის შედეგად მიღებული ზარალის დასაფარად განკუთვნილი რეზერვის რეგულირების საფუძველზე. ჩამოსაწერად განკუთვნილი თანხის მომავალში ამოღების შემთხვევაში, ასეთი ამოღება აისახება საერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში.

### (h) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, რომლებიც გაიცემა მოთხოვნისთანავე, ან აქვს სამი თვის ან ნაკლები დაფარვის საწყისი ვადა.

### (i) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები IAS 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ვალდებულებების სახით მოგებასა და ზარალში, კრედიტების და სესხების სახით, ან როგორც წარმოებული აქტივები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ჰეჯირების განხორციელების დროს, შესაბამისად. კომპანია თავის ფინანსურ ვალდებულებებს განსაზღვრავს საწყისი აღიარების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკისრია კომპანიას 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლასიფიცირებულია კრედიტებისა და სესხების სახით და შეიცავს ვალდებულებათა შემდეგ კლასებს: სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 23) და სესხები და თამასუქები, რომელთაც ერიცხება პროცენტები (შენიშვნა 22).

ფინანსური ვალდებულებების საწყისი აღიარება ხორციელდება სავაჭრო გარიგების დადების თარიღით, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ყველა ფინანსური ვალდებულების საწყისი აღიარება განხორციელებულია სამართლიანი ღირებულებით პლუს გარიგებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები.

საწყისი აღიარების შემდეგ, იმ კრედიტებისა და სესხების, რომლებსაც ერიცხება პროცენტები, შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხორციელდება საერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულების გამოანგარიშების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნებისმიერი დისკონტი ან შექმნის ბონუსი, აგრეთვე საფასურები და ხარჯები, რომლებიც EIR-ის განუყოფელი ნაწილია. EIR-ის ამორტიზაცია შედის ფინანსურ საქმიანობაზე გაწეულ ხარჯებში საერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იგივე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება საერთო შემოსავლების შესახებ ანგარიშში.

### (j) ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში მხოლოდ და მხოლოდ, მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება

**2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა (გაგრძელება)**

თანხების ჩათვლაზე და აპირებს აქტივის დაფარვას ნეტო-საფუძველზე ან მის რეალიზებასა და ვალდებულების დაფარვას ერთდროულად.

**(k) წინასწარი გადახდები**

წინასწარი გადახდები აღირიცხება ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდის კლასიფიცირება გრძელვადიანის სახით შესაძლებელია, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება მიღებულ უნდა იქნეს ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს გრძელვადიანის სახით საწყისი აღიარების დროს. აქტივის შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდა მიეწერება აქტივის საბალანსო ღირებულებას მას შემდეგ, რაც კომპანია საკუთარ კონტროლზე იღებს აქტივს და სავარაუდოა, რომ ამ აქტივთან ასოცირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა წინასწარი გადახდების ჩამოწერა ხდება მოგებასა და ზარალში, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებულია. თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, ხორციელდება წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულების ჩამოწერა და გაუფასურებასთან დაკავშირებული შესაბამისი ზარალის აღიარება წლიურ ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ.

**(i) არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების გადასინჯვას ახორციელებს თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გაუფასურების რაიმე ნიშნის არსებობის დადგენის მიზნით. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შეფასება.

გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღიარება ხორციელდება, როდესაც აქტივის საბალანსო ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ღირებულება აღემატება მისი ჩანაცვლების ღირებულებას. გაუფასურებით მიყენებული ზარალის ცნობა ხდება წლიურ ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ.

**(i) ჩანაცვლების ღირებულების გაანგარიშება**

ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ჩანაცვლების ღირებულება წარმოადგენს მათი სამართლიანი ღირებულებებიდან უდიდესს, სარეალიზაციო ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. სამომხმარებლო ღირებულების შეფასებისას ხორციელდება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოცემული აქტივისათვის დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. აქტივისათვის, რომელიც არ ახდენს ფულადი სახსრების მოდინების გენერირებას სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად, ჩანაცვლების ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება ფულადი სახსრების მაგენერირებელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც მიეკუთვნება აღნიშნული აქტივი.

**(ii) გაუფასურების რევერსირება**

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურებით მიღებული ზარალის შეფასება ხორციელდება თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის რევერსირება ხდება იმ შეფასებებში ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც გამოიყენება ჩანაცვლების ღირებულების დასადგენად. გაუფასურებით მიყენებული ზარალის რევერსირება ხორციელდება მოცულობით, რომლითაც აქტივის ღირებულება არ აღემატება საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით იმ პირობით, რომ გაუფასურებით მიყენებული ზარალი ადრე არ იყო აღიარებული.

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

## 2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა (გაგრძელება)

### (m) რეზერვები

რეზერვის აღიარება ხორციელდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში, როდესაც წარსული მოვლენის შედეგად, კომპანიას აქვს იურიდიული ან დაკისრებული ვალდებულება და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებელის გადინება ასეთი ვალდებულების დასაფარად. თუ ზეგავლენა არსებითია, მომავალი ხარჯების რეზერვის მოცულობა განისაზღვრება ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების დისკონტირებით დაბეგვრამდე არსებული განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროებით ღირებულებას, მიმდინარე საბაზრო ფასს და, არსებობის შემთხვევაში, ამ ვალდებულებისათვის დამახასიათებელ რისკებს.

### (n) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი აისახება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადი შეიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აისახება წლიურ ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მისი აღიარება ხორციელდება სხვა საერთო შემოსავლებში ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში იმის გამო, რომ შეეხება ტრანზაქციებს, რომელთა აღიარება, ასევე ხორციელდება სხვა საერთო შემოსავლებში ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში იმავე ან სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას, რომლითაც იბეგრება მიმდინარე ან წინა პერიოდის მოგება.

გადავადებული გადასახადის დარიცხვა ხორციელდება ვალდებულებების აღრიცხვის საბალანსო მეთოდის გამოყენებით, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, აქტივების საგადასახადო ბაზას, ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი განსხვავების ასახვისათვის. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხება იმ ოდენობით, რომლითაც არსებობს იმ დასაბეგრი მოგების მიღების ალბათობა მომავალში, რომელთან დაკავშირებითაც შესაძლებელია დროებითი განსხვავების გამოყენება. საწყის აღიარებასთან დაკავშირებული დათქმის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აისახება დროებითი განსხვავების შესაბამისად აქტივის ან ვალდებულებების საწყისი აღიარებისას ტრანზაქციის დროს, რომელიც არ წარმოადგენს კომპანიების გაერთიანებას, თუ ოპერაცია მისი საწყისი ასახვის შემთხვევაში, გავლენას არ ახდენს არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთით, რომელიც ძალაში შევიდა ან არსებითად შევიდა ძალაში საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის და რომელიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება პერიოდისათვის, როდესაც ხდება დროებითი სხვაობის რევერსირება, ან გამოიყენება საგადასახადო ზარალის გადავადების მეთოდი.

### (o) დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი (“დღგ”) აისახება ვალდებულების სახით გაყიდვის აღიარების მომენტში. იმ შემთხვევაში, თუ დღგ გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოებისათვის, როდესაც მის საფუძვლად მიჩნეული დებიტორული დავალიანება მიღებული ან ჩამოწერილია, ეს თანხა აისახება, როგორც გადავადებული დღგ ნომინალური თანხის შესაბამისად.

### (p) შემოსავლები

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოხდება ეკონომიკური სარგებელის შემოდინება კომპანიაში, ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების დასაბუთებული შეფასება, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები შეგებებული დაკმაყოფილების სამართლიანი ღირებულების თანახმად, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებული თავისი შეთანხმებების შეფასებას ახორციელებს სპეციალური კრიტერიუმების გამოყენებით იმის დასადგენად პრინციპალის სახით მოქმედებს იგი თუ აგენტის. კომპანიამ დაასკვნა, რომ იგი

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

**2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(i) ელექტროენერჯის გაყიდვა**

ელექტროენერჯის გაყიდვის აღიარება ხდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო სექტორების მომხმარებელთა მიერ ელექტროენერჯის მრიცხველით აღრიცხული მოხმარების საფუძველზე.

მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშების ნებისმიერი თარიღისათვის კომპანიას გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ელექტროენერჯი, რომელიც აღირიცხა, მაგრამ რომლისთვისაც ჯერ არ არის წაყენებული ანგარიშები. შემოსავლების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წაყენებული ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან ანგარიშების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ და შეფასებულ შემოსავლებს შორის უმნიშვნელოა.

**(ii) მომსახურების გაწევა**

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც მომსახურება უზრუნველყოფილია, ხოლო ანაზღაურების მიღება შესაძლებელი. სხვადასხვა სახის მომსახურება, რომელსაც კომპანია უზრუნველყოფს თავისი მომხმარებლებისათვის, დეტალურად განხილულია შენიშვნებში 7 და 8.

**(iii) საპროცენტო შემოსავლები**

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, პროცენტებიდან მიღებული შემოსავლების ან ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR), რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო არსებობის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები შედის მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში.

**(iv) მომხმარებლებისგან მიღებული აქტივები**

როდესაც კომპანიას მომხმარებელი გადასცემს ძირითადი საშუალებების ობიექტს, თავდაპირველად კომპანია ახორციელებს შეფასებას იმისა აკმაყოფილებს თუ არა ობიექტი აქტივის განსაზღვრებას. თუ კომპანია დაასკვნის, რომ აქტივის განსაზღვრება დაკმაყოფილებულია, იგი აღიარებს გადაცემულ აქტივს ძირითადი საშუალებების ობიექტის სახით, ხოლო საწყისი აღიარების დროს მისი ღირებულების შეფასებას ხორციელდება აქტივის სამართლიანი ღირებულების თანახმად.

IFRIC 18-ის შესაბამისად „მომხმარებლების მიერ აქტივების გადაცემა“ განიხილება, თუ ტრანზაქცია არის ტრანზაქცია, რომელიც ახორციელებს შემოსავლების გენერირებას. თავდაპირველად, კომპანია განსაზღვრავს მიღებული აქტივის სანაცვლოდ გაწეული მომსახურების სახეობას, შემდეგ მიღებული ან მისაღები შეგებებული დაკმაყოფილების სრული ოდენობის სამართლიანი ღირებულებას, ამის შემდეგ კი გამოიყენება შემოსავლების აღიარების კრიტერიუმები მომსახურების თითოეული სახეობისათვის.

**(v) სახელმწიფო სუბსიდიები**

სახელმწიფო სუბსიდიების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი სუბსიდია მიღებული იქნება. იმ შემთხვევაში, როდესაც სუბსიდიების მიღება დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან, მისი აღიარება ხორციელდება, ასეთი პირობების დაკმაყოფილების გარანტიის არსებობის შემთხვევაში. როდესაც სუბსიდია შეეხება ხარჯების მუხლს, მისი აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.



პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა სუბსიდიის დასარეგულირებლად სისტემატურობის საფუძველზე იმ ხარჯებთან, რომელთა ასანაზღაურებლად არის განკუთვნილი. როდესაც სუბსიდია შეეხება აქტივს, მისი აღიარება ხორციელდება გადავადებული შემოსავლის სახით და აისახება შემოსავლებში თანაბარი რაოდენობებით შესაბამისი აქტივის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების განმავლობაში. როდესაც სუბსიდია დაკავშირებულია შემოსავლებთან, იგი აისახება შემოსავლის სახით მიღების პერიოდის თანახმად.

## 2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც ჯგუფი იღებს არაფულად სუბსიდიებს, აქტივისა და სუბსიდიის ასახვა ხორციელდება ერთად მიღებული არაფულადი აქტივის სამართლიანი ღირებულების თანახმად.

## 3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკასა და ინფორმაციის გახსნაში

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება წინა ფინანსური წლის განმავლობაში გამოყენებულ პოლიტიკას, შემდეგი ფინანსური ანგარიშგების ახალი და შეცვლილი სტანდარტების (IFRS) და IFRIC ინტერპრეტაციების გარდა, რომლებიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვარს:

- IFRS 2 აქციებზე დაფუძნებული გადახდები: ჯგუფის აქციებზე დაფუძნებული ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდებთან დაკავშირებული ტრანზაქციები, ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან.
- IFRS 3 ბიზნესის გაერთიანება (გადასინჯული) და IAS 27 კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგება (შეტანილია ცვლილებები), ძალაში შევიდა 2009 წლის 1 ივლისიდან, IFRS 2, IFRS 5 IFRS 7, IAS 7, IAS 21, IAS 28, IAS 31 და IAS 39 შემდგომი ცვლილებების ჩათვლით
- IAS 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება - ჰეჯირების მუხლები, ძალაშია 2009 წლის 1 ივლისიდან
- FRIC 17 მფლობელებზე არაფულადი აქტივების განაწილება, ძალაში შევიდა 2009 წლის 1 ივლისს
- ფასს-ის ცვლილებები (2008 წლის მაისი)
- IFRS 5 სავაჭროდ განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები
- ფასს-ში შეტანილი ცვლილებები (2009 წლის აპრილი)
- IFRS 5 სავაჭროდ განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები
- IFRS 8 საოპერაციო სეგმენტები
- IAS 7 ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ
- IAS 36 აქტივების გაუფასურება
- IFRS 2 აქციებზე დაფუძნებული გადახდები
- IAS 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა
- IAS 17 იჯარა
- IAS 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება
- IAS 38 არამატერიალური აქტივები
- IAS 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება
- IFRIC 9 ჩამოყალიბებული წარმოებული ინსტრუმენტების ხელახალი შეფასება
- IFRIC 16 უცხოურ ოპერაციებში წმინდა ინვესტიციების ჰეჯირება

შესწორებებსა და ინტერპრეტაციებს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შედარებით ინფორმაციაში გარკვეული რაოდენობები დაექვემდებარა რეკლასიფიცირებს 2010 წლის პრეზენტაციასთან შესაბამისობის მიზნით. რეკლასიფიცირების დეტალები მოცემულია შენიშვნაში 30.

## 4 გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ არ არის ძალაში შესული კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, განხილულია ქვემოთ. ეს იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების სიაა, რომლებიც კომპანიის მოსაზრებით გამოყენებული იქნება მომავალში. კომპანია ამ სტანდარტების გამოყენებას აპირებს მათი ძალაში შესვლის შემდგომ.

**IAS 24 ინფორმაციის გახსნა დაკავშირებული მხარეების შესახებ (შეტანილია ცვლილებები)**

შევკლილი სტანდარტი ძალაშია წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ. მასში ნათლად არის განმარტებული დაკავშირებული მხარის განსაზღვრება, ასეთი ურთიერთობის იდენტიფიკაციის გამარტივებისა და გამოყენებისას შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით.

**4 გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)**

გადასინჯული სტანდარტის თანახმად, სახელმწიფო ორგანიზაციები გათავისუფლებული არიან ინფორმაციის გახსნასთან დაკავშირებული მოთხოვნებისაგან. კომპანია არ მოელის რაიმე ზემოქმედებას ფინანსურ მდგომარეობაზე ან ფინანსურ შედეგებზე. ადრეული გამოყენება ნებადართულია ორივეს თვალსაზრისით, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციების ინფორმაციის გახსნის ვალდებულებისაგან ნაწილობრივი გათავისუფლების მხრივ, ისე მთლიანად სტანდარტის.

**IAS 32 ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა – ფინანსური ინსტრუმენტები ვადამდე დაფარვის უფლებით და ლიკვიდაციის დროს წარმოქმნილი ვალდებულებები (შეტანილია ცვლილებები)**

IAS 32-ის ცვლილება ძალაშია წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2010 წლის 1 თებერვალს ან ამ თარიღის შემდეგ, შესწორება შეეხო ფინანსური ვალდებულების განსაზღვრებას, რომლის შესაბამისად ვადამდე დაფარვის უფლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტები აღიარებული უნდა იყოს საკუთარ კაპიტალში ისეთ შემთხვევაში, როდესაც ასეთი უფლებები პროპორციულად ენიჭება ორგანიზაციის საკუთარი კაპიტალის არაწარმოებული ინსტრუმენტების ყველა არსებულ მფლობელს, ან ორგანიზაციის წმინდა აქტივების ფიქსირებული რაოდენობის შესაძენად ფიქსირებული თანხით ნებისმიერ ვალუტაში. ეს შესწორება არ მოახდენს ზემოქმედებას კომპანიაზე საწყისი გამოყენების შემდეგ.

**IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება**

IFRS 9 გამოცემული სახით ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გაწეულ მუშაობას IAS 39-ის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით და შეეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებას IAS 39-ის მიხედვით. სტანდარტი ძალაში შედის წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, შემდეგ ეტაპებზე IASB განხილავს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებას, ჰეჯირების აღრიცხვას და აღიარების შეწყვეტას. ამ პროექტის დასრულება მოსალოდნელია 2011 წლის დასაწყისში. IFRS 9-ის 1-ლი ეტაპის გამოყენება ზემოქმედებას მოახდენს კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. კომპანია ზეგავლენას შეაფასებს სხვა ეტაპებთან კავშირში, მათი გამოცემის შემდეგ, სრულყოფილი სურათის მიღების მიზნით.

**IFRIC 14 შეზღუდვები ფიქსირებულ საპენსიო აქტივზე, დაფინანსების მინიმალური მოთხოვნები (შეტანილია ცვლილებები)**

IFRIC 14-ის ცვლილება ძალაში შედის წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, რეტროსპექტიული გამოყენებით. შესწორება უზრუნველყოფს მითითებებს წმინდა საპენსიო აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შესაფასებლად. ცვლილება ორგანიზაციას ნებას რთავს განიხილოს წინასწარი მინიმალური გადახდა საპენსიო ფონდში აქტივის სახით. ცვლილება ზემოქმედებას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**IFRIC 19 ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით**

IFRIC 19 ძალაში შედის წლიური პერიოდებისათვის 2010 წლის 1 ივლისს ან ამ თარიღის შემდეგ. განმარტებულია, რომ კრედიტორის მიერ ფინანსური ვალდებულების დასაფარად გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები კვალიფიცირებული უნდა იყოს გადახდილი შეგებებული დაკმაყოფილების სახით. გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების შეფასება ხორციელდება მათი სამართლიანი ღირებულების თანახმად. მათი საიმედო შეფასების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი შეფასება უნდა განხორციელდეს დასაფარი ვალდებულების სამართლიანი ღირებულების მიხედვით. ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალი უნდა აისახოს უშუალოდ ანგარიშში მოგებისა და ზარლის შესახებ. ამ ინტერპრეტაციის მიღება ზემოქმედების არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს-ის შესწორებები (გამოცემულია 2010 წლის მაისში)**

IASB-მ გამოსცა ფასს-ის შესწორებები, ფასს-ის სტანდარტების ცვლილებათა კრებული. შესწორებები ჯერ არ გამოიყენება, ვინაიდან ძალაში შედის წლიური პერიოდებისათვის 2010 წლის 1 ივლისს ან 2011 წლის 1 იანვარს, ან აღნიშნული თარიღების შემდეგ. ქვემოთ მოყვანილ შესწორებები, სავარაუდოდ, გამოყენებული იქნება კომპანიის მიმართ:

IFRS 3 ბიზნესის გაერთიანება

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

IFRS 7 ფინანსური ინსტრუმენტები: ინფორმაციის გახსნა  
IAS 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა  
IAS 27 კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგება  
IFRIC 13 მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები

**4 გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)**

კომპანიის შეფასებით, ამ ცვლილებების გამოყენებას ზემოქმედება არ ექნება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან ფინანსური საქმიანობის შედეგებზე.

**5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების არღიხულ ოდენობებზე, პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის გახსნაზე, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის. ამასთან, ამ დაშვებებსა და მოსაზრებებში დაურწმუნებლობამ შეიძლება მომავალში შედეგად გამოიწვიოს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების საჭიროება.

**(a) მოსაზრებები**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი მოსაზრებები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

**(i) მოქმედი საწარმო**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს 91,943 ათასი ლარით. კომპანიის ოპერაციები და ფინანსური ლიკვიდურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მშობელი კომპანიის მუდმივ ფინანსურ მხარდაჭერაზე. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ასეთი მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება ახლო მომავალშიც, მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე. აღნიშნული ფაქტი დამოწმებულ იქნა მშობელი კომპანიის 2011 წლის 5 მარტის წერილით. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში.

**(ii) კომპანიის საგადასახადო პოზიციის სიმყარე**

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა ფორმირების პროცესშია. კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა ხშირია, ხოლო მრავალი დებულება სხვადასხვა ინტერპრეტაციის საგანი ხდება. შენიშვნაში 28 განხილულის შესაბამისად, მოქმედ და ძველ საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ორაზროვნების გამო, ხელმძღვანელობის აზრით, არსებობს გარკვეული სფეროები, რომლებიც შეიძლება სადავო გახდეს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მისი პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მყარია, ამიტომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული რაიმე დამატებითი საგადასახადო რეზერვი.

ხელმძღვანელობა კომპანიის მერყევ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშო პერიოდისათვის. ვალდებულებები აისახება მოგების გადასახადის პოზიციით, რის გამოც ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით არსებობს დამატებითი გადასახადების დაკისრების რისკი.

**(iii) იმ მომსახურების იდენტიფიკაცია, რომელიც გაწეულ იქნა მომხმარებლებისაგან მიღებული აქტივების სანაცვლოდ**

კომპანია თავისი მომხმარებლებისგან იღებს ძირითადი საშუალებების ობიექტებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს აღნიშნული მომხმარებლების ქსელთან მისაერთებლად, აგრეთვე მათთვის ელექტროენერჯის მისაწოდებლად. კომპანიამ უნდა შეიმუშაოს მიდგომა მიღებული აქტივების სანაცვლოდ მომხმარებლებისათვის გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ყველა ფაქტისა და გარემოების ანალიზის შემდეგ, კომპანია დარწმუნებულია, რომ მომხმარებელთათვის გაწეული მომსახურება მათ მიერ გადმოცემული აქტივების სანაცვლოდ მთლიანად დაკავშირებულია მიერთებასთან და, შესაბამისად, მათი აღიარება ხდება კომპანიისათვის აქტივების გადაცემის და მომხმარებლის ქსელთან მიერთების დასრულების შემდეგ. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიდგომას მნიშვნელოვანი ზემოქმედება აქვს შემოსავლების ასახვის დროზე. 2010 წელს მომხმარებელთა მიერ გადმოცემული აქტივებიდან აღიარებულმა შემოსავლებმა შეადგინა 477 ათასი ლარი (2009:

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

677 ათასი).

**(iv) სახელმწიფო სუბსიდიების კლასიფიკაცია**

პერიოდულად კომპანიის სახელმწიფოსაგან უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით იღებს აქტივებს. ეს აქტივები, ჩვეულებრივ, თბილისის გამანაწილებელი ქსელის შემადგენელი ნაწილია და არ იყო გადაცემული

**5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**

კომპანიისათვის მისი საწყისი პრივატიზაციის დროს, იმ ქონებრივ უფლებებში არსებული ნაკლის გამო, რომლებიც არსებობს ელექტროენერჯის გამანაწილებელი ერთ დროს გაერთიანებული საბჭოთა ქსელის დაშლის შემდეგ. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ასეთი სუბსიდიები წარმოადგენს შემოსავლებთან დაკავშირებულ სუბსიდიებს, ვინაიდან მათი ძირითადი პირობა არ შეეხება გრძელვადიანი აქტივების შესყიდვას, აღნაგობას ან შექმნას. სახელმწიფო სუბსიდიებთან დაკავშირებულ მოსაზრებას მნიშვნელოვანი ზემოქმედება გააჩნია შემოსავლების აღიარების დროზე. სახელმწიფოს მიერ გადმოცემული აქტივებით მიღებულმა შემოსავლებმა 2010 წელს შეადგინა 3,538 ათასი ლარი (2009: ნული) (შენიშვნა 7).

**(b) შეფასებები და დაშვებები**

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებებისა და შეფასების სხვა ძირითადი წყაროების არასარწმუნოება საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელში შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის პარამეტრები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება დადგომისდა მიხედვით.

**(i) გაუფასურებაზე არაფინანსური აქტივების ტესტირება**

გაუფასურებას ადგილი აქვს, როდესაც აქტივის ან ნაღდი ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება ჩანაცვლების ღირებულებას, რომელიც უფრო მაღალია, სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდად გაღებული ხარჯები და მისი ფასეულობა გამოყენებაში. კალკულაცია - სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები - დაფუძნებულია სავალდებულო ძალის მქონე გაყიდვის შესახებ გარიგებების მონაცემებზე მსგავს აქტივებთან დაკავშირებული კომერციული გარიგებებიდან ან მოქმედი ბაზრების ფასებზე აქტივის გასვლაზე გაღებული დამატებითი ხარჯების გამოკლებით. გამოყენებაში ფასეულობის გამოანგარიშება დაფუძნებულია დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელზე. ფულადი სახსრების მოძრაობა მიღებულია მომდევნო ათი წლის ბიუჯეტიდან და არ შეიცავს რესტრუქტურისაგან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც ჯერ კომპანიას არ განუხორციელებია, ან მნიშვნელოვან მომავალ ინვესტიციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ფულადი სახსრების გენერაციის სატესტო ერთეულის ფუნქციონირებას. ჩანაცვლების ღირებულება ძალიან მგრძობიარე დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის, ასევე ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი შემოდილების. კომპანიის გრძელვადიანი აქტივების ჩანაცვლების ღირებულების განსასაზღვრად გამოყენებული ძირითადი დაშვებები მოიცავს მგრძობიარეობის ანალიზს, რომელიც შემდგომ განმარტებულია შენიშვნაში 15.

**(ii) ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების დადგენა**

კომპანიის ძირითადი საშუალებებისა და მათი სასარგებლო გამოყენების დარჩენილი ვადა განსაზღვრულ იქნა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და ამორტიზაციაზე ზეგავლენას ახდენს ჩანაცვლების ღირებულების, ჩანაცვლების ამორტიზებული ღირებულებისა და სასარგებლო გამოყენების დარჩენილი ვადის შეფასება. თითოეული საანგარიშო თარიღისათვის ხელმძღვანელობა აანალიზებს არსებობს თუ არა ნიშნები იმისა, რომ ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისაგან, და საჭიროა თუ არა დამატებითი გადაფასება (შენიშვნა 15).

**(iii) ვადაგასული დებიტორული დავალიანების რეზერვები**

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი დაფუძნებულია კომპანიის მოსაზრებაზე მოხმარებელთა სპეციალური ანგარიშების მართვასთან დაკავშირებით. თუ არსებობს ძირითადი მოხმარებლის თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სს „თელასი“**

**ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

კრედიტუნარიანობის გაუარესების ან ფაქტობრივი შეუსრულებლობის ნიშნები, რაც აღემატება შეფასებულს, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული დებიტორული დავალიანების ნარჩენი საბალანსო ღირებულება და რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანება შეიძლება აღარ დაექვემდებაროს სრულ ამოღებას. კომპანიის საკრედიტო რისკი სხვა შესაბამის რისკებთან ერთად აღწერილია დეტალურად შენიშვნაში 25.

**6 შემოსავლები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2010</b>	<b>2009</b>
საყოფაცხოვრებო სექტორისთვის ელექტროენერჯის მიყიდვა	117,243	110,929
კომერციული და სამრეწველო სექტორისთვის ელექტროენერჯის მიყიდვა	83,120	76,278
სახელმწიფო სექტორისთვის ელექტროენერჯის მიყიდვა	21,787	20,799
ელექტროენერჯის ტრანზიტი ცენტრალური მომხმარებლებისთვის	7,839	7,681
<b>სულ შემოსავლები</b>	<b>229,989</b>	<b>215,687</b>

საქართველოს საზღვრებში ელექტროენერჯის რეალიზაციის ტარიფებს ადგენს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია (სეწმეკი). კომპანიებისთვის დადგენილი დიფერენცირებული ტარიფი დამოკიდებულია მომხმარებლის ქსელში ჩართვის ძაბვაზე, ხოლო საყოფაცხოვრებო სექტორის შემთხვევაში, თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე. კომპანიისათვის დადგენილი გაყიდვის ტარიფები შემდეგია:

<b>მომხმარებლის კატეგორია</b>	<b>ლარი კვტ/სთ</b>	
	<b>2010</b>	<b>2009</b>
6/10,000 ვ ძაბვის მომხმარებელი	0.12618	0.12618
35/110,000 ვ ძაბვის მომხმარებელი	0.07280	0.07280
220/380 ვ ძაბვის მომხმარებელი პირველ 100 კვტ/სთ-მდე	0.11424	0.11424
220/380 ვ ძაბვის მომხმარებელი 101 კვტ/სთ-დან 300 კვტ/სთ-მდე	0.13560	0.13560
220/380 ვ ძაბვის მომხმარებელი 300 კვტ/სთ ზემოთ	0.14998	0.14998

მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს იმ ელექტროენერჯის ტრანზიტისათვის კომპანიის მიერ დარიცხულ თანხას, რომელსაც მომხმარებლები ყიდულობენ კომპანიის ქსელების საშუალებით უშუალოდ შპს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისგან (ესკო). სეწმეკ-ის მიერ კომპანიისთვის დადგენილი ტრანზიტის ტარიფი 2009 და 2010 წლებში შეადგენდა კვტ/სთ-ზე 0.0241 ლარს.

**7 სხვა შემოსავლები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2010</b>	<b>2009</b>
შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო სუბსიდიები (a)	3,538	-
ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანება (b)	3,283	-
რესტრუქტურირებულ დებიტ. დავალიანებაზე დარიცხული პროცენტი	2,227	2,373
საინსტალაციო და სარემონტო მომსახურება (c)	1,405	1,503
მოსაკრებლების შეგროვების საფასური (d)	1,055	1,117
მომხმარებლებისგან მიღებული აქტივები	477	677
სხვა შემოსავლები	586	965
<b>სულ სხვა შემოსავლები</b>	<b>12,571</b>	<b>6,635</b>

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 7 სხვა შემოსავლები (გაგრძელება)

### (a) სახელმწიფო სუბსიდიები შემოსავლებთან დაკავშირებით

2010 წ. სახელმწიფოს მიერ გადაცემული აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა 4 ქვესადგურის, მისი შესაბამისი მოწყობილობებისა და მიწის ნაკვეთების, აგრეთვე დაბალი ძაბვის გამანაწილებელ ქსელის, 22 ერთეული 6/10-0.4 ვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის გადაცემამ. აღნიშნული აქტივები გადაეცა კომპანიას აბონენტებისათვის საიმედო მომსახურების და გადაცემული საკუთრების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით. საწარმოს საადრიცხო პოლიტიკის შესაბამისად, კომპანიამ ამ აქტივების სამართლიანი ღირებულება აქტივების გადაცემის პერიოდის შემოსავლებად აღიარა.

### (b) კრედიტორული დავალიანების ჩამოწრა

კომპანიას ჰქონდა საქენერგოს კრედიტორული დავალიანება 3,283 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოქმნილი იყო 2009 წლის 1 იანვრამდე. საქენერგო ლიკვიდირებული იქნა 2010 წლის 27 აპრილს სასამართლოს დადგენილებით NB10053558, ვალდებულებების მეორე მხარისთვის გადაცემის გარეშე. ორგანიზაციის სამართლებრივი მოთხოვნებმა ძალა დაკარგა ლიკვიდაციასთან ერთად, აქენად გამომდინარე კომპანიამ ჩამოწრა 2010 წ. კრედიტორული დავალიანება.

### (c) საინსტალაციო და სარემონტო მომსახურება

მომხმარებლები, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი ტექნიკური ცოდნა, მიმართავენ კომპანიას საინსტალაციო და სარემონტო მომსახურების გასაწევად. ჩვეულებრივ, ამგვარი საინსტალაციო და სარემონტო სამუშაოები არ ატარებს ხანგრძლივ ხასიათს და მიღებული შემოსავლები დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და სირთულეზე.

### (d) მოსაკრებლების შეგროვების საფასურები

მოსაკრებლების შეგროვების საფასურები დაკავშირებულია ბილინგის და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ და თბილისის დასუფთავების სამსახურისთვის მოსაკრებლების შეგროვებისათვის გაწეულ მომსახურებასთან, რაც ელექტროენერჯის საფასურის გადასახდელი ქვითრით ხორციელდება. რადგან კომპანიის ბილინგის სისტემა და ინფრასტრუქტურა უფრო კარგად არის განვითარებული, ვიდრე სხვა კომუნალური კომპანიებისა, მათთვის უფრო ეფექტურია ბილინგის და გადასახადების გადახდის ფუნქციების სხვა კომპანიის მეშვეობით განხორციელება.

## 8 შესყიდული ელექტროენერგია

ათასი ლარი	2010	2009
შესყიდული ელექტროენერგია	63,570	71,034
ელექტროენერჯის გადაცემა და დისპეტჩერიზაცია	16,411	15,784
შესყიდული სარეზერვო სიმძლავრე	11,620	9,135

**შესყიდული ენერგია სულ** **91,601** **95,953**

სიმძლავრე კომპანიას შეისყიდა ძირითადად ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოებისგან (შენიშვნა 29).

2007 წლიდან, საქართველოს “ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის შესახებ” კანონში შესული ცვლილებების და ელექტროენერჯის ბაზრის შესახებ ახლახანს გადასინჯული წესების შესაბამისად, კომპანიას დაერიცხა სარეზერვო სიმძლავრე წლის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების 10% ოდენობით. კანონში შემდგომი ცვლილებები და დამატებები შეტანილ იქნა 2009 წლის 14 აპრილს, რომელთა შესაბამისად თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თელასი“

ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დადგენილი იქნა სარეზერვო სიმძლავრე წლის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების 25% ოდენობით. ამასთან, სარეზერვო სიმძლავრის ღირებულება პროპორციულად იქნა შემცირებული სარეზერვო სიმძლავრის ზრდის 10-დან 25%-მდე.

9 ხელფასები და თანამშრომელთათვის გადახდილი დამატებითი თანხები

ათასი ლარი	2010	2009
შრომის ანაზღაურება	42,154	40,042
თანამშრომლებისათვის გადახდილი სხვა თანხები	2,224	2,656
ხელმძღვანელობის საცხ. ბინით უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ხარჯები	439	437
<b>სულ ხელფასები და სხვა დამატებითი გადახდები</b>	<b>44,817</b>	<b>43,135</b>

10 რეზერვებისა და გაუფასურების რევერსირება

ათასი ლარი	2010	2009
მოძრაობა რეზერვებსა და გაუფასურებაში	772	11,297
კრედიტორული დავალიანების აღიარების შეწყვეტა (შენიშვნა 23)	(1,477)	-
<b>რეზერვებისა და გაუფასურების რევერსირება</b>	<b>705</b>	<b>11,297</b>

2010 და 2009 წლებში რეზერვებში ცვლილებების ანალიზი განხორციელებულ იქნა შემდეგნაირად:

ათასი ლარი	დებიტორული დავალიანების რეზერვი (a)	რესტრუქტურ. დებიტორული დავალიანების რეზერვი (a)	რეზერვი გაცემული ავანსებისათვის	სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი (b)	საგადასახადო დავალიანების, მოგების გადასახადის გარდა, რეზერვი (c)	იურიდიული სარჩელების რეზერვი (d)	სულ
<b>1 იანვარი 2009</b>	<b>125,799</b>	<b>4,306</b>	<b>517</b>	<b>4,120</b>	<b>3,259</b>	<b>9,355</b>	<b>147,356</b>
დამატებითი დანარიცხები/(რევერსი რება) პერიოდისათვის	(9,134)	(1,054)	(316)	48	-	(841)	(11,297)
პერიოდის განმავლობაში გამოყენებული	(6,219)	-	-	(1,074)	-	(19)	(7,312)
<b>31 დეკემბერი 2009</b>	<b>110,446</b>	<b>3,252</b>	<b>201</b>	<b>3,094</b>	<b>3,259</b>	<b>8,495</b>	<b>128,747</b>
დამატებითი დანარიცხები/(რევერსი რება) პერიოდისათვის	(2,372)	(956)	(67)	4,562	-	(395)	772
პერიოდის განმავლობაში გამოყენებული	(4,279)	-	-	(2,623)	-	(7,431)	(14,333)
<b>31 დეკემბერი 2010</b>	<b>103,795</b>	<b>2,296</b>	<b>134</b>	<b>5,033</b>	<b>3,259</b>	<b>669</b>	<b>115,186</b>

(a) დებიტორული დავალიანების რეზერვი

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სს „თელასი“**

**ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგასული დებიტორული დავალიანების არსებობა. დებიტორული დავალიანების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხ. შენიშვნა 17.

**10 რეზერვებისა და გაუფასურების რევერსირება (გაგრძელება)**

**(b) სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი**

2010 წელს სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი ძირითადად დაკავშირებული იყო შპს „ორიონისაგან“ მისაღებ დებიტორულ დავალიანებასთან 804 ათასი ლარის და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისაგან“ მისაღებ დავალიანებასთან 3,750 ათასი ლარის ოდენობით.

რეზერვის გამოყენება, ძირითადად, დაკავშირებულია საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისაგან მისაღები დებიტორული დავალიანების ჩამოწრასთან 2,477 ათასი ლარის ოდენობით.

დეტალური ინფორმაციისთვის იხ. შენიშვნა 18.

**(c) სხვა საგადასახადო დავალიანების რეზერვი**

რეზერვი დაკავშირებულია კომპანიის მიერ დღგ-ის დაბრუნების მოთხოვნასთან, რაზეც მას უარი ეთქვა საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის დღგ-ს დეკლარაციებში არსებული ხარვეზების გამო. კომპანიის აზრით ამ საგადასახადო აქტივის წარმატებული ამოღება საეჭვოა.

**(d) რეზერვი იურიდიული სარჩელებისთვის**

კომპანია აფასებს როგორც არსებულ, ასევე წარმობემაში მიღებულ, სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით, სადაც კომპანია მოქმედებს მოსარჩლის სახით, უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. თუ კომპანიის აზრით უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის რისკი შესაძლებელია, იგი ახორციელებს შესაბამისი რეზერვის ფორმირებას. ყველა სხვა ცნობილი საქმეები განხილულია პირობითი ვალდებულებების კატეგორიაში, შენიშვნაში 28.

2010 წლის 2 თებერვალს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეების პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კომპანიას დაეკისრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ 7,431 ათასი ლარის გადახდა. შესაბამისად, კომპანიას მოუწია ადრე აღრიცხული თანხების რეკლასიფიკაცია, რეზერვებიდან კრედიტორულ დავალიანებაში. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სამინისტრო და კომპანია შეთანხმდნენ, რომ სამინისტრო უარს იტყვის ამ ვალდებულებაზე, კომპანიის მიერ ელექტრული ქსელის სარეაბილიტაციოდ და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში 9,618 აბონენტისათვის აღრიცხვის ინდივიდუალური კვანძების მოწყობაში ინვესტირების სანაცვლოდ 2011 წლის მაისის ბოლომდე.

**11 სხვა გადასახადები, მოგების გადასახადების გარდა**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2010</b>	<b>2009</b>
ელექტრ. დანაკარგებთან დაკავშ. დამატებული ღირებულების გადასახადი (ა)	2,131	2,973
ქონების გადასახადი	1,141	1,644
სხვა	75	144
<b>სულ სხვა გადასახადები, მოგების გადასახადების გარდა</b>	<b>3,347</b>	<b>4,761</b>

**(a) ელექტროენერჯის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი**

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**სს „თელასი“**

**ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის („სსკ“) თანახმად ელექტროენერჯის დანაკარგები არ უნდა აღემატებოდეს 12.4%. ტექნიკური დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას კომპანიის მიერ მოცემულ თვეში მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობასა და კომპანიის მიერ კონკრეტულ თვეში მომხმარებლებისთვის მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობას შორის. თუ დანაკარგები აღემატება 12.4%, სსკ-ის მოთხოვნების შესაბამისად დაუშვებელია დამატებითი დანაკარგების აღიარება დაბეგვრის მიზნებისთვის. ამგვარად, სსკ-ის

**11 სხვა გადასახადები, მოგების გადასახადების გარდა (გაგრძელება)**

თანახმად ნებისმიერი სხვაობა ფაქტობრივ დანაკარგებსა და 12.4% შორის განიხილება როგორც კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი გაყიდვები და შესაბამისად ექმედება დღგ-ით დაბეგვრასა და დასაბეგრი მოგების კატეგორიაში შეტანას, მოგების გადასახადის დაკისრების მიზნით. 2010 წელს კომპანიის ფაქტობრივმა დანაკარგებმა შეადგინა 15.5% (2009: 17.0%), რამაც გამოიწვია დღგ-სთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებების წარმოქმნა და, შესაბამისად, აისახა უშუალოდ მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშში.

**12 სხვა საოპერაციო ხარჯები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2010</b>	<b>2009</b>
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	5,484	5,780
რესტრუქტურ. დებიტ. დავალიანების საწყისი ასახვით მიღებული ზარალი	2,906	4,791
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	2,571	2,544
დაზღვევა	1,769	1,774
ოფისის იჯარა და ტექნიკური მომსახურება	1,458	1,414
ჯარიმები და კომპენსაციები	1,367	1,187
სამგზავრო და სატრანსპორტო ხარჯები	1,305	958
საქველმოქმედო და სოციალური ხარჯები	1,260	472
საწევრო შესატანები	701	565
პროფესიული მომსახურება	465	457
ელექტროენერჯის შესყიდვის საკომისიო მოსაკრებელი	430	420
საკანცელარიო საქონელი	293	381
სხვა	2,100	3,352
<b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>22,109</b>	<b>24,095</b>

**13 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2010</b>	<b>2009</b>
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები</b>		
საპროცენტო შემოსავლები	671	297
შემოსავლები მშობელი კომპანიისაგან სესხის თანახმად მისაღები ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების გადაფასებიდან (შენიშვნა	1,460	-
<b>სულ ფინანსური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლები</b>	<b>2,131</b>	<b>297</b>
<b>ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები</b>		
საპროცენტო ხარჯები (შენიშვნები 22,29)	(12,982)	(11,926)
კურსებს შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(5,905)	(1,833)
<b>სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები</b>	<b>(18,887)</b>	<b>(13,759)</b>

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

სს „თელასი“

ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სავალუტო დანაკარგები ძირითადად წარმოქმნილია კომპანიის აშშ დოლარებში გამოხატული აქტივებისა და პასივების გადაანგარიშებით. დეტალები იხ. შენიშვნაში 25.

**14 მოგების გადასახადი**

ათასი ლარი	2010	2009
მიმდინარე გადასახადი	1,346	2,481
გადავადებული გადასახადი/(პროცენტები)	3,779	(1,884)
<b>მოგების გადასახადი წლის განმავლობაში</b>	<b>5,125</b>	<b>597</b>

კომპანიისთვის მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

მოსალოდნელ და ფაქტობრივ გადასახადს შორის შედარება მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2010	2009
ფასს მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	53,481	(1,640)
თეორიული გადასახადი 15% განაკვეთით (დარიცხვა)/პროცენტი	(8,022)	246
დამატებით დასაბეგრი შემოსავლები ზენორმატ. დანაკარგების შედეგად (a)	(1,225)	(641)
ტექნიკ. დანაკარგ-ზე დარიცხ. დღგ, რომელიც არ ექვემდ. დაბრუნებას (a)	(320)	(464)
დაქვითვები მშობელი კომპ. სესხზე პროცენტებისა და უცხოური ვალუტის კურსის შედეგად წარმოქმნილ ზარალზე (b)	5,019	1,008
ქონების ღირებულება, რომელიც არ იქნა გამოყენებული დასაქვითად (c)	(870)	-
დაბეგვრის ზემოქმედება სხვა მუხლებზე, რომლებიც არ ექვემდებარება დაზიანებას ან შიფასიზას დაზიანების მიზნებისათვის	293	(746)
<b>მოგების გადასახადის ხარჯები წლის განმავლობაში</b>	<b>(5,125)</b>	<b>(597)</b>

**(a) ზენორმატიული ტექნიკური დანაკარგების შესაბამისად მიღებული დამატებითი დასაბეგრი შემოსავლები (a)**

შენიშვნაში 11.a განხილული შესაბამისად, კომპანიას აქვს ზენორმატიული ტექნიკური დანაკარგები. სსკ-ის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია აღიაროს ელექტროენერჯის პოტენციური გაყიდვა დანაკარგების დამტკიცებული ნორმის ზემოთ, რაც წარმოქმნის დასაბეგრ მოგებას, რომელიც არ აისახება ფასს-ის შესაბამისად. კომპანია ასევე ვალდებულია დღგ-ით დაბეგროს ასეთი პოტენციური შემოსავლები, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხარჯებს, რომელიც არ ექვემდებარება დაქვითვას.

**(b) მშობელი კომპანიის მიერ უზრუნველყოფილ სესხზე დარიცხული პროცენტების ანარიცხები**

შენიშვნის 22.c შესაბამისად, მშობელი კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი სესხი დაფარულ უნდა იქნეს 2059 წელს, ასევე არ გააჩნია პროცენტების გადახდის დაფიქსირებული თარიღები. შესაბამისად, სესხის ამორტიზირებული ღირებულება მნიშვნელოვნად ნაკლებია ნომინალურ ღირებულებაზე. საპროცენტო ხარჯები გამოქვითვას ექვემდებარება, მოგების გადასახადის მიზნებისათვის, მათი ნომინალური ღირებულების საფუძველზე, დაგროვებისა და მიხედვით. 2011 წლიდან საპროცენტო ხარჯები დაექვემდებარება დაქვითვას აღრიცხვის საკასო მეთოდის საფუძველზე. კომპანიამ არ აღიარა გადავადებული საგადასახადო აქტივები ფასს-სა

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სს „თელასი“**

**ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

და მშობელი კომპანიის მიერ გამოყოფილი სესხის დაბეგვრის საფუძველს შორის არსებულ სხვაობასთან დაკავშირებით, რადგან სესხის შესაბამისად მომავალი დაფარვის გრაფიკი და ოდენობა შეიძლება შეფასებულ იქნეს საკმარისი საიმედოობით. გარდა ამისა, პირველი დაფარვების გამოყენება შესაძლებელია წინა პერიოდებში დაგროვებული პროცენტების დარიცხვის დასარეგულირებლად, რომელთა საგადასახადო დაქვითვა უკვე განხორციელებულია.

**14 მოგების გადასახადი (გაგრძელება)**

**(c) იმ ქონების ღირებულება, რომელიც არ იყო გამოყენებული დაქვითვის მიზნით**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გარკვეული მუხლების თანხები, რომლებიც ფასს-ის თანახმად კლასიფიცირებულია დაუმთავრებელი მშენებლობის სახით, შემცირდა 2009 წელს ჩატარებული ქონების გადაფასების შედეგად (შენიშვნა 15). ამ გადაფასების შედეგები აისახა კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩანაწერებში. 2010 წელს ეს მუხლები გადატანილ იქნა დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორიიდან დასრულებულ ძირითად საშუალებებში, თვითღირებულებაზე დაბალი ღირებულებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დაშვებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კაპიტალიზაცია ძირითადი საშუალებების დასაბეგრ კატეგორიაში თვითღირებულების შესაბამისად, კომპანიამ არჩია გადაფასებული ღირებულების გამოყენება, როგორც ფასს-ის, ისე დაბეგვრის მიზნებისათვის, რადგან იგი დარწმუნებულია, რომ სხვადასხვა ღირებულებების გამოყენება კომპანიას დააყენებს საგადასახადო რისკების წინაშე.

**(d) მოძრაობა დროებით განსხვავებებში**

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2009	ჩათვლილი/ (დარიცხული) მოგებასა და ზარალში	აღიარებულია სხვა საერთო შემოსავლებში*	31 დეკემბერი 2010
ძირითადი საშუალებები	(3,773)	(4,135)	-	(7,908)
არამატერიალური აქტივები	66	(21)	-	45
სავაჭრო და სხვა დებიტ. დავალიანება	4,776	428	-	5,204
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	179	(36)	-	143
რეზერვები	1,274	(59)	-	1,215
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალ.	673	44	-	717

**წმინდა გადავადებული**

საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	3,195	(3,779)	-	(584)
--	-------	---------	---	-------

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2008	ჩათვლ./ (დარიცხ.) მოგებასა და ზარალში	აღიარებულია სხვა საერთო შემოსავლებში*	31 დეკემბერი 2009
ძირითადი საშუალებები	1,239	3,458	(8,470)	(3,773)
არამატერიალური აქტივები	78	(12)	-	66
სავაჭრო და სხვა დებიტ. დავალიანება	4,903	(127)	-	4,776
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	115	64	-	179
რეზერვები	1,400	(126)	-	1,274
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალ.	1,040	(367)	-	673
მომავალი პერიოდ. გადატ. საგ. ზარალი	1,006	(1,006)	-	-

<b>წმინდა გადავადებული საგად. აქტივები</b>	<b>9,781</b>	<b>1,884</b>	<b>(8,470)</b>	<b>3,195</b>
--	--------------	--------------	----------------	--------------

(\* ) OCI – სხვა საერთო შემოსავლები

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

15 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა	შენიშვნები	ძირითადი საშუალ.	მანქანა-დნადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთ. მშენებლ.	სულ
<b>შეფასება</b>							
<b>2009 წლის 1 იანვარი</b>	<b>25,065</b>	<b>7,582</b>	<b>79,887</b>	<b>7,286</b>	<b>4,291</b>	<b>14,893</b>	<b>139,004</b>
აკუმულირებული ამორტ. კორექტირება	-	(655)	(7,962)	(3,257)	(994)	-	(12,868)
საერთო შემოსავლ. აღიარ. ზრდა გადაფასების შედეგად	-	18,370	48,942	112	584	-	68,008
საერთო შემოსავლ. აღიარ. შემცირება გადაფასების შედეგად	(8,204)	(27)	(1,722)	(1,147)	(442)	-	(11,542)
გადაფასების შედეგად, მოგების შესახებ ანგარიში ასახული ზრდა	-	3,851	3,221	8	203	-	7,283
გადაფასების შედეგად, მოგების შესახებ ანგარიში ასახული შემც.	(752)	(3,221)	(42,235)	(1,588)	(661)	(6,925)	(55,382)
დამატებები	212	1,833	6,753	1,395	580	11,423	22,196
გადმოცემული	-	1,735	6,812	-	-	(8,547)	-
გასვლა	(66)	(48)	(820)	(471)	(701)	-	(2,106)
<b>31 დეკემბერი 2009</b>	<b>16,255</b>	<b>29,420</b>	<b>92,876</b>	<b>2,338</b>	<b>2,860</b>	<b>10,844</b>	<b>154,593</b>
დამატებები	1,006	2,162	1,730	2,608	1,072	20,149	28,727
გადმოცემული	-	1,422	12,746	-	-	(14,168)	-
გასვლა	(48)	(65)	(1,001)	(158)	(73)	(588)	(1,933)
<b>31 დეკემბერი 2010</b>	<b>17,213</b>	<b>32,939</b>	<b>106,351</b>	<b>4,788</b>	<b>3,859</b>	<b>16,237</b>	<b>181,387</b>
<b>აკუმულირებული ამორტიზაცია</b>							
<b>1 იანვარი 2009</b>	<b>-</b>	<b>431</b>	<b>4,551</b>	<b>2,136</b>	<b>787</b>	<b>-</b>	<b>7,905</b>
აკუმულ. ამორტიზაციისა და გაუფასურების კორექტ.	-	(655)	(7,962)	(3,257)	(994)	-	(12,868)
ამორტ. დარიცხვა	-	262	3,580	1,328	447	-	5,617
გასვლა	-	(38)	(169)	(207)	(240)	-	(654)
<b>31 დეკემბერი 2009</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
ამორტ. დარიცხვა	-	852	8,724	803	532	-	10,911
გასვლა	-	(14)	(96)	(35)	(6)	-	(151)
<b>31 დეკემბერი 2010</b>	<b>-</b>	<b>838</b>	<b>8,628</b>	<b>768</b>	<b>526</b>	<b>-</b>	<b>10,760</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>							
<b>31 დეკემბერი 2009</b>	<b>16,255</b>	<b>29,420</b>	<b>92,876</b>	<b>2,338</b>	<b>2,860</b>	<b>10,844</b>	<b>154,593</b>
<b>31 დეკემბერი 2010</b>	<b>17,213</b>	<b>32,101</b>	<b>97,723</b>	<b>4,020</b>	<b>3,333</b>	<b>16,237</b>	<b>170,627</b>

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**15 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

დაუმთავრებელი მშენებლობა ასახავს იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, აგრეთვე სამშენებლო კომპანიებისთვის გადაცემულ მასალებსა და უზრუნველყოფილ საავანსო გადახდებს.

მასალები შედის მუხლებში, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ძირითადი საშუალებების ელემენტების რემონტის ან შეცვლისთვის, მაგალითად, სატრანსფორმატორო სადგურების კომპონენტები და კაბელები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირებულია ძირითად საშუალებებში, მაგრამ არ ერიცხება ამორტიზაცია, მათ გაერთიანებამდე აღნიშნულ აქტივებში და ამორტიზაციის დარიცხვა განხორციელდება ამ აქტივის დარჩენილი სასარგებლო პერიოდის მიხედვით.

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შეადგენდა 1,571 ათას ლარს, რომლებიც დაგირავებული იქნა საქართველოს საბაჟო ორგანოებისათვის იმპორტირებული ელექტორენეგის საბაჟო წმენდის შესაბამისად გადასახდელი თანხების უზრუნველყოფის სახით.

**(a) ძირითადი საშუალებები – საწყისი ღირებულებით**

ათასი ლარი	მიწა	შენობები	ძირითადი საშუალ.	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთ. მშენებლ.	სულ
<b>საბალანსო ღირებულება</b>							
<b>2009 წლის 31</b>	7,047	17,415	90,033	6,230	5,944	17,770	144,439
<b>საბალანსო ღირებულება</b>							
<b>2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>8,032</b>	<b>20,464</b>	<b>95,187</b>	<b>6,425</b>	<b>5,761</b>	<b>16,828</b>	<b>152,697</b>

**(b) გრძელვადიანი აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე**

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ განახორციელა საკუთარი გრძელვადიანი აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე. ხელმძღვანელობა, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს წარსულში ძს-ების გადაფასების პროცედურების სავარაუდო შედეგებისა და პროცედურების ფაქტობრივ შედეგებს შორის ფარდობას, გაუფასურების ნიშნების შეფასებისას. 2010 წლის პროცედურის ფაქტობრივი შედეგები განსხვავდებოდა, 2009 წელს განხორციელებული შეფასებით მიღებული სავარაუდო შედეგებისაგან, რაც მიუთითებს გაუფასურებაზე ტესტირების ჩატარების საჭიროებას 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანია შედგება ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთი ერთეულისაგან. ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება განსაზღვრულ იქნა გამოყენებაში ფასეულობის გამოანგარიშებით, ფულადი სახსრების შემოდინების ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული იმ ფინანსური პროგნოზებიდან გამომდინარე განხორციელებული დაგეგმვის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ათწლიან პერიოდს. დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია ფულადი სახსრების ნაკადების დაგეგმვისათვის არის 18.92%, ფულადი სახსრების ნაკადები ათწლიანი პერიოდის შემდგომ მიჩნულ იქნა სტაბილურად მზარდად საშუალო განაკვეთით 2.6% წელიწადში. ამ ანალიზის შედეგად, კომპანიის გრძელვადიანი აქტივების ფასეულობა გამოყენებაში განისაზღვრა 176,429 ათას ლარად, რომელიც აღემატება მათ საბალანსო ღირებულებას.

**(i) ძირითადი დაშვებები გამოყენებაში ფასეულობის გაანგარიშების დროს**

გამოყენებაში ფასეულობის გაანგარიშება ყველაზე მგრძობიარეა შემდეგი დაშვებების მიმართ:

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

- დისკონტირების განაკვეთი;
- გაყიდვის მოცულობები;
- ზრდის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ფულადი სახსრების მოძრაობის შესაფასებლად საპროგნოზო პერიოდის ფარგლებს გარეთ.

**15 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

დისკონტირების განაკვეთი – დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს არსებული საბაზრო რისკის შეფასებას კომპანიასთან მიმართებით, ფულის დროებით ღირებულებასა და მოცემული აქტივის ინდივიდუალურ რისკთან დაკავშირებით, რომელიც არ იყო ასახული ფულადი სახსრების შეფასებაში. დისკონტირების განაკვეთის გაანგარიშება ეფუძნება კომპანიისათვის დამახასიათებელ გარემოებებს და წარმოებულია მისი კაპიტალის საშუალოშეწონილი ღირებულებიდან (WACC). WACC ითვალისწინებს ვალებსა და საკუთარ კაპიტალს. კაპიტალის ღირებულება მიღებულია კომპანიის ინვესტორების მიერ ინვესტიციების სავარაუდო უკუგებიდან გამომდინარე. ვალის ხარჯები ეფუძნება კრედიტებსა და სესხებს, რომლებსაც ერიცხება პროცენტები, შედარებითი რისკებითა და ვადებით, რადგან კომპანიას არა აქვს მესამე პირების მიერ გაცემული სტანდარტული სესხები. კომპანიისათვის სპეციფიური რისკები ინკორპორირებულია ინდივიდუალური ბეტა-ფაქტორების გამოყენებით. ბეტა-ფაქტორების შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად საყოველთაოდ ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემების საფუძველზე.

გაყიდვის მოცულობები – გაყიდვების მოცულობა წარმოადგენს ხელმძღვანელობის საუკეთესო ვარაუდს თბილისში ელექტროენერჯიაზე მომავალ მოთხოვნასთან დაკავშირებით. ელექტროენერჯიის ფაქტობრივ გაყიდვებზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, ხოლო შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზებისაგან. ფაქტორებმა, როგორებიცაა ზამთარში საშუალო ტემპერატურა, ალტერნატიულ მიმწოდებელთა არსებობა, ქართული ეკონომიკის განვითარების შედეგები და სხვა ფაქტორები, შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს გაყიდვების ფაქტობრივ მოცულობაზე.

ზრდის ტემპების შეფასება - ტემპები დაფუძნებულია ქართული ეკონომიკის დარგში გამოქვეყნებულ კვლევებზე.

**(ii) მგრძობელობა დაშვებებში ცვლილებების მიმართ**

კომპანიის ძირითადი საშუალებების გამოყენებაში ფასეულობის შეფასებასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ძირითად დაშვებებში არახელსაყრელმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი. ძირითად დაშვებების ზემოქმედება ჩანაცვლების ღირებულებაზე, სხვა ცვლადი სიდიდეების მუდმივობის პირობით, შეჯამებულია ქვემოთ:

	გამოყენებაში ფასეულობის ცვლილება ძირითად დაშვებაში 1% შემცირების შედეგად	ზარალი გაუფასურების შედეგად დადგება დაშვებაში შემცირებიდან გამომდინარე, რომელიც აღემატება
დისკონტირების განაკვეთი	(7,600)	1%
გაყიდვების მოცულობა	(13,523)	1%
ზრდის ტემპი	(7,264)	2%

**(c) ძირითადი საშუალებების გადაფასება 2009 წელს**

გადაფასების მიზნით, 2009 წელს ხელმძღვანელობამ დაავალა დამოუკიდებელ შემფასებელს კომპანიის ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასება, მათი სამართლიანი ღირებულების დასადგენად, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გადაფასების თარიღისათვის ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 91.7 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რომელშიც შედის:

	31 დეკემბერი 2009	31 დეკემბერი 2009
	მლნ აშშ დოლარი	მლნ ლარი
მიწის ნაკვეთები	9.7	16.3
შენობები	17.5	29.4
ძირითადი საშუალებები	54.8	92.9

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## სს „თელასი“

### ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოწყობილობები და ხელსაწყოები	1.4	2.3
სატრანსპორტო საშუალებები	1.8	2.9
დაუმთავრებელი მშენებლობა და სათადარიგო ნაწილები	6.5	10.8
<b>სულ</b>	<b>91.7</b>	<b>154.6</b>

#### 15 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი საშუალებები სპეციფიური ხასიათისაა და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, გარდა მიმდინარე ბიზნესის ნაწილის სახით. ბაზარი მსგავსი ძირითადი საშუალებებისათვის საქართველოში არ არის მოქმედი და არ უზრუნველყოფს გაყიდვების საკმარის რაოდენობას, რათა ძირითადი საშუალებების შესადარებლად გამოყენებული იყოს ბაზრის ფასებზე დამყარებული მიდგომა. შესაბამისად, ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველად განსაზღვრულ იქნა ამორტიზირებული ჩანაცვლების ღირებულების გამოყენებით. ეს მეთოდი ითვალისწინებს ძირითადი საშუალების ობიექტის შექმნის ან ჩანაცვლების ღირებულებას, რომელიც დარეგულირებულია ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური ცვეთის და დამკვლავის მიხედვით. დეტალური ტექნიკური ინფორმაციის არარსებობის გამო, ამორტიზირებული ჩანაცვლების ღირებულება შეფასებულ იქნა კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. ამორტიზირებული ჩანაცვლების ღირებულება შეფასდა შიდა წყაროების და მსგავსი ძირითადი საშუალებების რუსეთის, საქართველოს და საერთაშორისო ბაზრების ანალიზის საფუძველზე. სხვადასხვა სახის საბაზრო მონაცემები შეგროვდა გამოქვეყნებული ინფორმაციის, კატალოგების, სტატისტიკური მონაცემების და სხვა მასალების და საქართველოსა და საზღვარგარეთის სამრეწველო ექსპერტებისა და ძირითადი საშუალებების მიმწოდებლებთან კონტაქტის საფუძველზე.

გამოყენებული იქნა შემდეგი ძირითადი დამკვლავი ფულადი სახსრების მოძრაობის ტესტირებისას, მნიშვნელოვანი მგრძობიარე სფეროების მითითებით:

- კაპიტალის საშუალოშეწონილი ღირებულების დისკონტირების გამოყენებული განაკვეთი 2009 წელს იყო წლიური 18.9%;
- ელექტროენერჯის გაყიდვების (ქსელში გაშვების) ტარიფის ზრდა მოსალოდნელია დაახლოებით 1% წელიწადში 2021 წლამდე;
- ელექტროენერჯის შესყიდვის (შემოდინების) ტარიფის ზრდა მოსალოდნელია დაახლოებით 3% წელიწადში 2021 წლამდე;
- ზენორმატიული (კომერციული) დანაკარგების პროგნოზირებული დონეა 4.7% წელიწადში 2021 წლამდე;
- მ/მ გადამცემ ხაზებში დანაკარგების პროგნოზირებული დონეა 2.2% წელიწადში 2021 წლამდე;
- სახელფასო ხარჯების ზრდა პროგნოზირებულია დაახლოებით 4% წელიწადში 2021 წლამდე;
- დაგეგმილი იყო, რომ კომპანიას 2010-2021 წლებში მთლიანობაში უნდა დაეხარჯა დაახლოებით 158 მლნ ლარი ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩასანაცვლებლად; და
- ძირითადი დამკვლავისათვის მინიჭებული მნიშვნელობა ასახავს ხელმძღვანელობის მიერ ბიზნესში მომავალი ტენდენციების შეფასებას და ეფუძნება როგორც გარე, ისე შიდა წყაროებს (ისტორიული მონაცემები).

2%-იანი ცვლილება დისკონტირების კაპიტალური განაკვეთის საშუალოშეწონილ ღირებულებაში, მოსალოდნელი სახელფასო ხარჯები 2% ოდენობით ზრდა ზეგავლენას მოახდენს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე დაახლოებით 22% ოდენობით.

მოსალოდნელი ცვლილება გაყიდვების ტარიფში 2%, გაყიდვების პროგნოზირებული მოცულობის ცვლილება 2% ზემოქმედებას მოახდენს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე დაახლოებით 31%.

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**16 არამატერიალური აქტივები**

ათასი ლარი	პროგრამული უზრუნველყოფა	დასაწერი პროგრამული უზრ	სულ
<b>ღირებულება</b>			
2009 წ. 1 იანვრის მდგომარეობით	799	-	799
ნამატი	682	699	1,381
2009 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,481	699	2,180
ნამატი	1,296	1,519	2,815
2010 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,777	2,218	4,995
<b>ამორტიზაცია</b>			
2009 წ. 1 იანვრის მდგომარეობით	549	-	549
დარიცხვები წლის განმავლობაში	137	-	137
2009 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	686	-	686
დარიცხვები წლის განმავლობაში	243	-	243
2010 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	929	-	929
<b>ნარჩენი საბალანსო ღირებულება</b>			
2009 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	795	699	1,494
2010 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,848	2,218	4,066

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან.

დანერგვის სტადიაზე მყოფი პროგრამული უზრუნველყოფა დაკავშირებულია კომპანიის ძალისხმევასთან დანერგოს საწარმოს რესურსების დანერგვის SAP სისტემა, რომელსაც ექსპლუატაციაში გაუშვებენ 2011 წელს.

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



17 დებიტორული დავალიანება

<i>ათასი ლარი</i>	<b>31 დეკემბერი 2010</b>	<b>31 დეკემბერი 2009</b>
<b>რესტრუქტურირებული დებ. დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი</b>		
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებ. დავალიანება	7,205	8,296
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 10)	(2,296)	(3,252)
<b>სულ გრძელვადიანი რესტრუქტურირებული სავაჭრო დებ. დავალიანება</b>	<b>4,909</b>	<b>5,044</b>
<b>მოკლევადიანი</b>		
საყოფაცხოვრებო სექტორი	78,412	84,812
სახელმწიფო სექტორი	14,461	14,151
კომერციული და სამრეწველო სექტორი	32,838	34,070
ცენტრალური მომხმარებლები	2,742	3,131
რესტრუქტ. სავაჭრო დებ. დავალიანება, მოკლევადიანი ნაწილი	8,211	11,431
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (შენიშვნა 10)	(103,795)	(110,446)
<b>სულ მოკლევადიანი სავაჭრო დებ. დავალიანება</b>	<b>32,869</b>	<b>37,149</b>
<b>სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება</b>	<b>37,778</b>	<b>42,193</b>

(a) რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

მომხმარებელთაგან ვადაგასული დებიტორული დავალიანების ამოღებისათვის ხელშესაწყობად, კომპანია მომხმარებლებთან დებს რესტრუქტურირების შესახებ შეთანხმებებს, რომელთა შესაბამისადაც ვადაგასული დებიტორული დავალიანების გადანაწილება მომავალ პერიოდებზე ყოველთვიური თანაბარი პროცენტით. მომხმარებელთა რესტრუქტურირებულ დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტები. რესტრუქტურირების იწვევს რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების ამორტიზირებული ღირებულების განსხვავებას რესტრუქტურირებულ არსებულ მის ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან, განსხვავება აისახება მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშში რესტრუქტურირების თარიღით, სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილის სახით. თავდაპირველად აღიარებული რესტრუქტურირებით მიღებული ზარალი გადანაწილებულია მომდევნო პერიოდებზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თუ მომხმარებელი ვერ იცავს რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკს, კომპანია ამზადებს რეზერვს ამ მომხმარებლისაგან მისაღები მთლიანი დებიტორული დავალიანების ნაშთზე. რეზერვის პროცენტულობა დამოკიდებულია ვადაგასული თანხის სიდიდეზე.

აბონენტთა თითოეული კატეგორიის მიმართ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო და საბანკო ბიულეტენში მითითებულ განაკვეთებს, კერძოდ:

**საყოფაცხოვრებო სექტორი** – კომერციული ბანკების მიერ ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე წლიური საშუალოშეწონილი პროცენტის საფუძველზე, რამაც 2010 წ. შეადგინა 20.4% (2009:23.1%) ;

**სახელმწიფო სექტორის და ცენტრალური აბონენტების დებიტორული დავალიანება** – კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტებზე – საჯარო იურიდიულ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ კომერციულ სესხებზე წლიური საშუალოშეწონილი პროცენტის საფუძველზე, რამაც 2010 წ. შეადგინა 15.6% (2009: 17.5%);

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კომერციული და სამრეწველო სექტორი – კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტებზე – კერძო იურიდიულ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ კომერციულ სესხებზე წლიური საშუალოშეწონილი პროცენტის საფუძველზე, რამაც 2010 წ. შეადგინა 15.6% (2009:17.5%);

**17 დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)**

რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების საწყისი აღიარებით მიღებულმა ზარალმა შეადგინა 2,906 ათასი ლარი 2010 წელს (2009: 4,791 ათასი ლარი) (შენიშვნა 12).

საპროცენტო შემოსავლებმა რესტრუქტურირებით მიღებული ადრე აღიარებული ზარალის განაწილებით მომდევნო პერიოდებზე შეადგინა 2,227 ათასი ლარი 2010 წელს (2009: 2,373 ათასი ლარი) (შენიშვნა 7).

**(b) სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურება**

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანალიზი დროში შემდეგია:

	არც ვადაგასული, არც		ვადაგასული, მაგრამ არაგაუფასურებული				
	სულ	გაუფასურებული	<60 დღე	60-120 დღე	120-180 დღე	180-360 დღე	>360 დღე
2010	37,778	20,519	552	569	361	517	15,260
2009	42,193	21,493	1,120	675	365	802	17,738

ვადაგასული, მაგრამ არაგაუფასურებული დებიტორული დავალიანება, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება რესტრუქტურირებულ თანხებს. ხორციელდება ყველა დებიტორული დავალიანების ინდივიდუალური ტესტირება გაუფასურებაზე. უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვში ცვლილებები იხილეთ შენიშვნაში 10.

**18 წინასწარი გადახდები და სხვა დებიტორული დავალიანება**

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2010	31 დეკემბერი 2009
მიმწოდებლებზე გაცემული ავანსები მინუს: გაუფასურების რეზერვი (შენიშ.10)	4,432 (134)	4,468 (201)
<b>სულ, მიმწოდებლებზე გაცემული ავანსები, წმინდა</b>	<b>4,298</b>	<b>4,267</b>
ანაზღაურებადი დღე მოგების წინასწარ გადახდილი გადასახადი სხვა საგადასახადო აქტივები მინუს: გაუფასურების რეზერვი (შენიშ.10)	3,449 857 1,289 (3,259)	3,397 - 122 (3,259)
<b>სულ საგადასახადო აქტივები, წმინდა</b>	<b>2,336</b>	<b>260</b>
სხვა დებიტორული დავალიანება (ა) მინუს: გაუფასურების რეზერვი (შენიშ.10)	5,509 (5,033)	7,821 (3,094)
<b>სულ სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა</b>	<b>476</b>	<b>4,727</b>
<b>სულ სხვა დებიტორული დავალიანება,</b>	<b>7,110</b>	<b>9,254</b>

**(a) სხვა დებიტორული დავალიანება**

სხვა დებიტორული დავალიანების ნაშთი მოიცავს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” (სსე) – საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ორგანიზაციის – დებიტორულ დავალიანებას, რომელიც

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სს „თელასი“**

**ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

შეადგენს 3,750 ათას ლარს, რომელიც ფაქტორირებულ იქნა კომპანიის მიერ სსე-ს მიერ დადებულ ხელშეკრულებათა სხვადასხვა მხარეთაგან 2005 წელს. ფაქტორირებული დებიტორული დავალიანების ნომინალური ღირებულება შეადგენს 5,711 ათას ლარს. სსე-ს მიმართ ამჟამად იმყოფება გაკოტრებასთან დაკავშირებული დაცვის ქვეშ. სსე-ის ყველა ძველი ვალდებულება, კომპანიის წინაშე არსებული დავალიანების ჩათვლით, დაჯგუფებულ იქნა ხანდაზმულობის მიხედვით. სსე-ის მიმართ გაკოტრებასთან დაკავშირებით

**18 წინასწარი გადახდები და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)**

გამოყენებული სამართალდამცავი ზომების მიმდინარე გეგმის საფუძველზე, სსე, სავარაუდოდ, კომპანიის წინაშე თავისი ვალდებულებების დაფარვას დაიწყებს 2030 წელს. ხელმძღვანელობამ ამ დებიტორული დავალიანებისათვის შექმნა სრული რეზერვი, რადგან სსე-ს მიერ გაკოტრებისაგან დაცვის გეგმის დაკმაყოფილება საეჭვოა და პროგნოზებს არ ექვემდებარება.

სსე-სგან მისაღები დებიტორული დავალიანება 2,477 ათასი ლარის ოდენობით, შექმნილ სრულ რეზერვთან ერთად, ჩამოწერილ იქნა 2010 წელს სსე-ს ლიკვიდაციის გამო 2010 წლის 29 იანვრის სასამართლო გადაწყვეტილების No B10007723/6 საფუძველზე.

**19 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>31 დეკემბერი 2010</b>	<b>31 დეკემბერი 2009</b>
მასალები და მარაგები	8,545	7,219
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3,802	2,372
<b>სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები</b>	<b>12,347</b>	<b>9,591</b>

**20 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>31 დეკემბერი 2010</b>	<b>31 დეკემბერი 2009</b>
მიმდინარე ანგარიშები (საპროცენტო განაკვეთი: წლიური 7-8%)	15,024	3,493
სალაროში ნადდი ფულის ნაშთი	21	24
კორპორაციული ბარათები	55	39
სპეციალური ანგარიშები	144	104
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>15,244</b>	<b>3,660</b>

ყველა ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი და არაგაუფასურებული.

**21 საკუთარი კაპიტალი**

**(a) სააქციო კაპიტალი**

	<b>31 December 2010</b>	<b>31 December 2009</b>
გამოშვებული და სრულად გამოსყიდული აქციების რაოდენობა	81,147,886	81,147,886
ღირებულება, ათასი ლარი	<b>81,148</b>	<b>81,148</b>

ჩვეულებრივი აქციების ნებადართული რაოდენობაა 81,147,886, ხოლო თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი. აქციები ერთნაირი კლასისა და თითოეულ აქციას შეესაბამება ერთი ხმა. 2009-2010 წ.წ. განმავლობაში გამოშვებული აქციების რაოდენობა არ შეცვლილა.

**(b) აქციონერები**

	<b>31 დეკემბერი 2010</b>	<b>31 დეკემბერი 2009</b>
--	--------------------------	--------------------------

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თელასი“

ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მშობელი კომპანია	75.00%	75.00%
სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო	24.53%	24.53%
კერძო პირები (300 ადამიანი)	0.47%	0.47%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

22 სესხები და თამასუქები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2010	31 დეკემბერი 2009
<b>გრძელვადიანი</b>		
მშობელი კომპანიის სესხი (c)	45,103	37,524
კრედიტები ადგილობრივი ბანკებიდან (b)	20,734	38,184
გადასახდელი თამასუქები (a)	603	718
<b>სულ გრძელვადიანი სესხები და თამასუქები</b>	<b>66,440</b>	<b>76,426</b>
<b>მოკლევადიანი</b>		
კრედიტები ადგილობრივი ბანკებიდან (b)	11,068	4,494
გადასახდელი თამასუქების მიმდინარე ნაწილი (a)	139	139
<b>სულ მოკლევადიანი კრედიტები და სესხები</b>	<b>11,207</b>	<b>4,633</b>
<b>სულ კრედიტები და სესხები</b>	<b>77,647</b>	<b>81,059</b>

(a) გრძელვადიანი თამასუქები

კომპანიას აქვს გრძელვადიანი უპროცენტო გადასახდელი თამასუქები ლარში. ეს გადასახდელი თამასუქები გამოშვებული იყო 1998 წ. გარკვეული ყოფილი მიმწოდებლებისათვის, კომპანიის მიერ წინა სავალო ვალდებულებებზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ამ გადასახდელი თამასუქების საბალანსო ღირებულება შეფასებული იყო 15.4% დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით დადგენილი გადახდის თარიღის დადგომამდე. ითვლება, რომ მოცემული დისკონტირების განაკვეთი მიახლოებულია სესხის ეკვივალენტურ მომგებიანობასთან საქართველოს ბაზარზე მისი წარმოქმნის მომენტში და მას შემდეგ არ შეცვლილა.

თამასუქების უმეტესობის მიმდინარე ღირებულება იმის გათვალისწინებით, რომ მათი გადახდის ვადა მინიმუმ 80 წლის შემდეგაა დაწყებული 2010 წ. 31 სექტემბრიდან, ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებულია ნულის სახით (2008: ნული). ამ თამასუქების დისკონტირებული თანხა არ აღემატება 0,5 ლარს ნებისმიერი სესხისთვის ცალ-ცალკე ან ერთად.

გადასახდელი თამასუქები შემდეგია:

ათასი ლარი	დაფარვის ვადა	ნომინ. ღირებულება 2010 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	საბალანსო ღირებულება 2010 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	ნომინ. ღირებულება 2009 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით	საბალანსო ღირებულება 2009 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით
საქენერგო	2098	-	-	132,000	-
ფინანსთა სამინისტრო	2098	132,000	-	-	-
ორთაჭალა	2098	388	-	388	-
ზაჰესი	2098	119	-	119	-
საცხენისი	2098	73	-	73	-
სს „თელასი“	2098	50	-	50	-
ორბი	2098	9	-	9	-

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სს „თელასი“**

**ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ელექტროგადაცემა	2021	1,302	742	1,598	857
<b>სულ გადასახდელი თამასუქები</b>		<b>133,941</b>	<b>742</b>	<b>134,237</b>	<b>857</b>

**22 სესხები და თამასუქები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები (გაგრძელება)**

საქენერგოს ლიკვიდაცია განხორციელდა 2010 წელს და ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად თამასუქები გადაეცა ფინანსთა სამინისტროს.

საპროცენტო ხარჯებმა გადასახდელი თამასუქების შესაბამისად შეადგინა 252 ათასი ლარი (2009: 245 ათასი ლარი) (შენიშვნა 13).

**(b) ადგილობრივი ბანკების მიერ გამოყოფილი კრედიტები**

2009 წლის 15 დეკემბერს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ სს „საქართველოს ბანკთან“ 5,000 ათას აშშ დოლარზე. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად გამოიყენა კრედიტის თანხა. კრედიტი აშშ დოლარებშია და საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 14.0%. კომპანიამ უნდა დაფაროს სესხი 2014 წლის 15 დეკემბერს. კრედიტის საბალანსო ღირებულებაა 8,397 ათასი ლარი (2009: 8,429 ათასი ლარი).

2008 წლის 17 ივლისს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან“ 14,000 ათას აშშ დოლარზე. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად გამოიყენა ეს საშუალება. კრედიტი გამოხატულია აშშ დოლარებში და ერიცხება საპროცენტო განაკვეთი წლიური 14% ოდენობით. კომპანიამ კრედიტი უნდა დაფაროს 2012 წლის 17 ივლისს. კრედიტის საბალანსო ღირებულებამ, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა 23,405 ათასი ლარი (2009: 24,353 ათასი ლარი).

2009 წლის 9 ოქტომბერს, კომპანიამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ სს „კორ სტანდარტ ბანკთან“ 5,860 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად გამოიყენა ეს კრედიტი. კრედიტის საბალანსო ღირებულებამ, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა 9,896 ათასი ლარი.

საპროცენტო ხარჯებმა ადგილობრივი ბანკების მიერ უზრუნველყოფილ კრედიტებთან დაკავშირებით შეადგინა 5,846 ათასი ლარი (2009: 3,710 ათასი ლარი) (შენიშვნა 13).

**(c) მშობელი კომპანიისაგან მიღებული სესხი**

2008 წლის 27 ოქტომბერს სს „თელასმა“ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მშობელ კომპანიასთან, რომლის მიხედვითაც ვალის გადასახდელმა თანხა 388,336 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, მითითებული თარიღის მდგომარეობით, მშობელი კომპანიის მიერ გაცემული სესხის ძირითადი თანხისა და სესხზე დაგროვილი პროცენტის ჩათვლით, რესტრუქტურირებული იქნა ახალი სესხის სახით. რესტრუქტურირებული სესხის დაფარვის თარიღია 2059 წლის 31 დეკემბერი, ხოლო ყოველწლიურად დარიცხული პროცენტი 1%. პროცენტების გადახდა განხორციელდება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს მოგებას თავისი ოპერაციებიდან. კომპანიამ გამოიყენა 18% რესტრუქტურირებული სესხის სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად რესტრუქტურირების თარიღისათვის, რადგან ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ 18% ასახავდა სამართლიან პროცენტებს მსგავსი ინსტრუმენტებისათვის ამ თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ხელმძღვანელობა აფასებს სესხთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მომავალ ნაკადებს. რადგან კომპანიამ 2010 წელს დააფიქსირა მოგება 2010 წელს, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ გადახდები სესხის შესაბამისად დაიწყება 2011 წელს. სესხის საბალანსო ღირებულების ცვლილება გამოწვეულია ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების გადაფასებით, რაც ასახულ იქნა მოგების ან ზარალის კატეგორიაში შემოსავლების შესახებ ანგარიშში და შეადგინა 1,460 ათასი ლარი 2010 წელს (2009: ნული ლარი) (შენიშვნა 13).

მშობელი კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი სესხის შესაბამისად დაგროვებულმა საპროცენტო ხარჯებმა შეადგინა 6,884 ათასი ლარი (2009: 5,724 ათასი ლარი) (შენიშვნა 13).

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## სს „თელასი“

### ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

#### (d) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი სესხი

2010 წლის 15 დეკემბერს, კომპანიამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) დადო ხელშეკრულება 25,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სესხზე. სესხის ვალუტა აშშ დოლარი, ერიცხება საპროცენტო განაკვეთი LIBOR-ის მიხედვით პლუს 3.5%-5.0% წლიური კომპანიის მარჯვს საფუძველზე

#### 22 სესხები და თამასუქები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები (გაგრძელება)

(ფინანსური ვალი EBITDA-ს მიმართ). კომპანიის ვალდებულებების გარანტორი ამ სასესხო სახსრების შესაბამისად არის მშობელი კომპანია.

კომპანიამ ფინანსური რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებით გადაიხადა საკომისიო 713 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

#### 23 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2010	31 დეკემბერი 2009
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	90,575	98,041
მშობელი კომპანიისთვის გადასახდელი თანხები	15,824	15,130
წინასწარი გადახდები მომხმარებლების მიერ	5,751	5,153
სხვა	18,810	18,604
<b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b>	<b>130,960</b>	<b>136,928</b>

მიმწოდებლების მიმართ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება 2010 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შეადგენდა 3,162 ათას ლარს (2009: 3,007 ათას ლარს), საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციის - TGR Energy-ის მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანების ჩათვლით, ელექტროენერჯის მიწოდებისათვის 2009 წლის განმავლობაში. ნასყიდობის ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, TGR Energy აქვს არჩევანი მოითხოვოს ფულით გადახდა ან ელექტროენერჯის მიწოდება პროპორციით 1-1.1. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა სხვაგვარად არ გადაწყვიტეს ერთმანეთის წინასწარი შეატყობინების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება 2011 წლის 31 დეკემბრის მომდევნო ერთი წლით, და ასე განუზღვრელად. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ვალდებულებების დაფარვა უნდა განხორციელდეს ფულადი სახსრებით. ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების ტარიფი ხელშეკრულების შესაბამისად შეადგენს 0.0273 აშშ დოლარს კვტ/სთ (დაახლოებით 0.048 ლარი). ხელშეკრულების თანახმად კომპანიამ 2008 წლის განმავლობაში მიიღო 59 კვტ/სთ. კომპანია დარწმუნებულია, რომ კრედიტორული დავალიანება 66 კვტ/სთ-ისათვის, რომელიც შეადგენს 3,162 ათას ლარს, წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც გადახდას ექვემდებარება მოთხოვნის შემთხვევაში და, შესაბამისად ასახავს კრედიტორული დავალიანების ნაწილის სახით. კომპანიას ცალკე არ აუსახავს არჩევანი, რომელიც შეუძლია TGR Energy გააკეთოს და მოითხოვოს ვალდებულების დაფარვა ელექტროენერჯის მიწოდებით, რადგან მიაჩნია, რომ ამ ვარიანტის ზემოქმედება უმნიშვნელოა.

მენეჯმენტისა და ტექნიკური დახმარების სათაო კომპანიისათვის გადასახდელი საფასურები წარმოიქმნა 2009 წლამდე. კომპანია ამ ანგარიშებს დაფარვას ახორციელებს მხოლოდ სათაო კომპანიის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში.

სხვა კრედიტორული დავალიანებამ შეადგინა 7,431 ათასი ლარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის (MEDG) (შენიშვნა 10), სსე-სათვის გადასახდელი 4,551 ათასი ლარის ჩათვლით.

სხვა კრედიტორულმა დავალიანებამ, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა საბაჟოს მოსაკრებელზე დარიცხულ ჯარიმებს 1,477 ათას ლარის ოდენობით, რაც გასაჩივრებულია კომპანიის მიერ. უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის სასარგებლოდ 2009 წლის 24 ივნისს. ოფიციალური გადაწყვეტილება კომპანიას გადაეცა 2010 წელს. შესაბამისად, აღრიცხული დავალიანების აღიარება შეწყდა 2010 წელს, შემოსავლების შესახებ ანგარიშში აისახა რეზერვისა და გაუფასურების რევერსირების ნაწილის სახით (შენიშვნა 10).

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**24 სხვა საგადასახადო დავალიანება**

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2010	31 დეკემბერი 2009
გადასახდელი დღგ	12,565	14,118
საგზაო გადასახადთან დაკავშირებული ვალდებულება	3,424	4,584
საშემოსავლო გადასახადი	688	531
ქონების გადასახადი		924
<b>სულ სხვა საგადასახადო დავალიანება – მიმდინარე</b>	<b>16,677</b>	<b>20,157</b>
რესტრუქტურირებული საგზაო გადასახადი - გრძელვადიანი	-	3,424
<b>სულ სხვა საგადასახადო დავალიანება</b>	<b>16,677</b>	<b>23,581</b>

დამატებითი ღირებულების გადასახადში შედის გადავადებულ დღგ-სთან დაკავშირებული ნომინალური თანხა 6,545 ათასი ლარი (2009: 7,696 ათასი ლარი), რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი ორგანოებისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც ასანაზღაურებელი დავალიანების ბალანსი ანაზღაურებული ან ჩამოწერილია. თანხა არ ექვემდებარება დისკონტირებას იმის გათვალისწინებით რომ ანაზღაურების ან ჩამოწერის ვადა არ არის განსაზღვრული და, ვინაიდან, ასანაზღაურებელი თანხის ამოღება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, დღგ, ფაქტობრივად, ექვემდებარება გადახდას მოთხოვნისთანავე.

2009 წლის 30 ივნისს კომპანიამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან „ვადაგასული საგადასახადო ვალდებულების რესტრუქტურირების შესახებ“, რომლის მიზანი იყო საგზაო გადასახადთან დაკავშირებული ვალდებულების - 10,273 ათასი ლარის ოდენობით რესტრუქტურირება. საგადასახადო დავალიანება რესტრუქტურირებულია 24 თვის ვადით ძირითადი თანხის კვარტალური დაფარვებით თანაბარი ნაწილების გადახდის საფუძველზე და წლიური 6%. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი საგადასახადო ვალდებულება შეადგენდა 3,424 ათას ლარს (2009 წელს: 8,008 ათას ლარს), ხოლო დავალიანების რესტრუქტურირებული ნაწილი, რომელიც გრძელვადიან ვალდებულებას წარმოადგენს 2010 წ. შეადგენს 377 ათას ლარს (2009 წელს: 137 ათასი) (შენიშვნა 13).

**25 ფინანსური რისკის მართვა**

კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში (საკრედიტო, საბაზრო, გეოგრაფიული, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკები), ასევე საოპერაციო და იურიდიული რისკები. კომპანიისთვის ფინანსური რისკების მართვაში ყველაზე მნიშვნელოვანია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ რისკების შენარჩუნების უზრუნველყოფა მოცემულ საზღვრებში. კომპანია განაგრძობს თავისი ფუნქციების განვითარებას საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვაში. კომპანიის მიერ დღეისთვის მიღებული ზომები, მათ შორის მშობელი კომპანიის ზედამხედველობა და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიღებული ზომები მიზნად ისახავს შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად, როგორც ამჟამად, ისე მომავალში.

**(a) საკრედიტო რისკი**

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ მხარე ვერ შესძლებს დროულად და სრული მოცულობით გადახდას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს კომპანიას საკრედიტო რისკის ქვეშ, ძირითადად, შედგება სავაჭრო დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების, წინასწარი გადახდების და სხვა დებიტორული

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## სს „თელასი“

### ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დავალიანების, ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისგან. კომპანიას თბილისში მომსახურების გაწევის სფეროში მონოპოლისტური მდგომარეობა გააჩნია, ამიტომ, მისი შესაძლებლობა აარჩიოს სასურველი მომხმარებლები შეზღუდულია. კომპანია საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს იმ მომხმარებელთა ქსელიდან დროული გათიშვით, რომლებიც არ იხდიან ელექტროენერჯის დავალიანებას, მაგრამ კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობის და მათი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ყველა არგადამხდელი მომხმარებელი არ იქნება დროულად გათიშული. ამასთან, არსებობს გათიშულ მომხმარებელთა არასანქცირებული ჩართვის რისკი. კომპანია ასევე ემსახურება სოციალური სფეროს მომხმარებლებს, რომელთა გათიშვას ქსელიდან კომპანია ვერ შეძლებს მათი ვალის არასათანადო მომსახურების შემთხვევაშიც კი. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა კონსერვაციული რეზერვების პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერი პრობლემური მომხმარებლის დროული იდენტიფიცირებისა და ადეკვატური უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების, წინასწარი გადახდებისა და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, მთლიანად ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ ემუქრება გადაუხდელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია საყოფაცხოვრებო და კომერციული სექტორების დიდი რაოდენობის მომხმარებლებს შორის.

ფულადი სახსრების ჭარბი ნაშთი განთავსებულია ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებსაც დეპონირების თარიღისთვის ჰქონდათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

#### (b) საბაზრო რისკი

კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საბაზრო რისკი, რომელიც ძირითადად შეეხება კომპანიისათვის დადგენილ ტარიფებს და ზემოქმედებას ახდენს შესასყიდი ელექტროენერჯის ფასზე და აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მონაწილეობს ამ ტარიფების გარკვეული დონეების დადგენაში, ტარიფის დონის დადგენასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები მის კონტროლს არ ექვემდებარება. კომპანიამ ხელი მოაწერა მემორანდუმს სეწმეკ-თან, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაყიდვის ტარიფი კომპანიისთვის 2015 წლამდე უცვლელი დარჩება.

გარდა ამისა, კომპანიას გააჩნია ღია პოზიცია პროცენტული განაკვეთის და სავალუტო პოზიციის მიმართ, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და სპეციფიკური ცვლილებები.

#### (c) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო.

ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მოქმედებს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარის კურსის დაცემის/ზრდის შემთხვევაში აშშ დოლარის მიმართ 10 პროცენტის ოდენობით, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით, მოგება ყველა გადასახადების გადახდის შემდეგ 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეიცვლებოდა შემდეგნაირად:

	გამყარება	შესუსტება
<b>2010</b>		
USD (10% ცვლილება)	9, 260	(9,260)
<b>2009</b>		
USD (10% ცვლილება)	10,491	(10,491)

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობის გამო, ხელმძღვანელობა არ ახორციელებს სავალუტო რისკის ხეჯირებას.

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**25 ფინანსური რისკის მართვა**

კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

ათასი ლარი	USD – დენომინირებული	
	2010	2009
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3 005	5
კრედიტები და სესხები	(76 905)	(80 201)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(3 162)	(9 581)
Silk Road Holdings B.V.-სათვის გადასახდელი თანხები	(15 824)	(15 130)
<b>ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(92,886)</b>	<b>(104,907)</b>

**(d) კაპიტალთან დაკავშირებული რისკის მართვა**

კომპანიის კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზნები 2011 წლამდე იყო საკუთარი კაპიტალის დადებითი ბალანსის მიღწევა. კაპიტალის დეფიციტი დაგროვებულ იქნა კომპანიის მიერ წინა პერიოდებში ასახული მუდმივი ზარალის გამო. 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საკუთარმა კაპიტალმა შეადგინა 20,635 ათასი ლარი.

**(e) ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას ადეკვატური საკრედიტო თანხების საშუალებით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები გადასახდელია ან მისაღება დაკავშირებული მხარეებისგან. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს კომპანიას საკმარის მოქნილობას დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია ბიზნესში ადეკვატური ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად მომავალშიც, ამიტომ არ ინარჩუნებს ჭარბ ფულად ნაშთს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში გახსნილი თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს.

გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	1 წელზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები, პროცენტებით გაცემული გადასახ- დელი თამასუქები	14,167	40,539	32,364	987,359	1,074,429
სავაჭრო და სხვა კრედ. დავ.	139	139	418	133,245	133,941
	130,960	-	-	-	130,960
<b>სულ მომავალი გადახდები</b>	<b>145,266</b>	<b>40,678</b>	<b>32,782</b>	<b>1,120,604</b>	<b>1,339,330</b>

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**25 ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:**  
**ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

ათასი ლარი	1 წელზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები, პროცენტებით გაცემული გადასახ- დელი თამასუქები	10,464	33,337	52,949	945,451	1,042,201
სავაჭრო და სხვა კრედ. დავ.	139	139	418	133,541	134,237
	136,928	-	-	-	136,928
<b>სულ მომავალი გადახდები</b>	<b>147,531</b>	<b>33,476</b>	<b>53,367</b>	<b>1,078,992</b>	<b>1,313,366</b>

როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, კომპანიას აკისრია მნიშვნელოვანი ოდენობის ვალდებულებები, რომლებიც დაფარულ უნდა იქნეს ერთ წელიწადში დაწყებული 2010 წლის 31 დეკემბრიდან. ამ ვალდებულებათა უმეტესობა არის საერთო კონტროლის ქვეშ არსებული ორგანიზაციების წინაშე. კომპანიას მშობელი კომპანიისაგან მიღებული აქვს 2011 წლის 5 მარტით დათარიღებული წერილი, რომ იგი არ აპირებს და იძლევა გარანტიას იმისა, რომ უზრუნველყოფს, რომ მისმა ფილიალებმა არ მოითხოვონ მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა მინიმუმ 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში ამ წერილის თარიღიდან. მშობელმა კომპანიამ ასევე აიღო ვალდებულება კომპანიისათვის დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, რათა მან შეძლოს საქმიანობის გაგრძელება უწყვეტად.

**(f) პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებული რისკი**

პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებული რისკი გამოიხატება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც აისახება მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული მოგების შემცირებით. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მოზიდულ დაფინანსებასთან დაკავშირებით არ ექვემდებარება პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებულ რისკს, რადგან ყველა სესხსა და მიღებულ თამასუქს გააჩნია პროცენტის ფიქსირებული განაკვეთი. დეპოზიტებსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები უმნიშვნელოა.

**26 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის კომერციული გარიგების დროს. მაგრამ უზუსტობისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი შესაძლებელია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2010		31 დეკემბერი 2009	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
<b>ფინანსური აქტივები</b>				
სავაჭრო დებიტ. დავალიანება, რესტრუქტურირების ჩათვლით (შენიშვნა 17)	37,778	37,778	42,193	42,193
ფულადი სახსრ. და მათი ეკვივ. (შენიშვნა 20)	15,244	15,244	3,660	3,660
სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 18)	476	476	4,727	4,727

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

**ფინანსური ვალდებულებები**

სესხები დარიცხ. პროც. (შენიშვნა 22)	77,647	91,202	81,059	89,709
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალ. (შენიშვნა 23)	130,960	130,960	136,928	136,928

**26 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)**

სამართლიანი ღირებულების შეფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ფულადი სასხრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული და დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი სამართლიანი ღირებულების, ვინაიდან მათი დისკონტირება ხორციელდება მოქმედი ბაზარის განაკვეთით აღიარების დროს;
- იმ სესხების სამართლიანი ღირებულების, რომელთაც ერიცხება პროცენტები, შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშო თარიღისათვის არსებული განაკვეთების გამოყენებით.

**27 ვალდებულებები**

2007 წლის 20 ივნისს მშობელმა კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს „ელექტროენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობასა და ადრე ხელმოწერილი ხელშეკრულებების შესრულების შესახებ“. მემორანდუმის ძირითადი ასპექტები შეეხებოდა: ელექტროენერჯის მომავალ გრძელვადიან ფიქსირებულ ტარიფებს; საინვესტიციო პროგრამებს 56.3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით 2007-2015 წ.წ.; კომპანიისთვის გარკვეული ქონების გადაცემას; ახალი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობას და კომპანიის კონკრეტული საოპერაციო პრობლემების გადაწყვეტას. ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე არანაირი ვალდებულებების წარმომქმნელი ხელშეკრულება არ ყოფილა ხელმოწერილი. მიუხედავად ამისა, 2008 წლის 24 სექტემბერს საქართველოს წყალმომარაგებისა და ენერჯეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სეწმეკი) გამოსცა დადგენილება, რომელიც შეეხებოდა საინვესტიციო ვალდებულებებს ზემოაღნიშნულ მემორანდუმში და სს „თელასისთვის“ დაადგინა გრძელვადიანი ტარიფები ელექტროენერჯიაზე, რომლებიც არ შეიცვლება 2015 წლის 1 სექტემბრამდე. ამ დადგენილების თანახმად, კომპანია ყოველწლიურად ანგარიშვალდებულია სეწმეკ-ის წინაშე განხორციელებულ ინვესტიციებზე. წარდგენილი ანგარიშებისა და 2010 წლის ანგარიშის პროექტიდან გამომდინარე 2007-2010 წლებში ინვესტიციების სრულმა მოცულობამ შეადგინა 79.9 მილიონი აშშ დოლარი (დაახლოებით 132,1 მილიონი აშშ დოლარი).

შენიშვნაში 10 განხილულის შესაბამისად, კომპანიამ დაკისრებული აქვს ელექტრული ქსელის სრული რეაბილიტაციის განხორციელება და 9,618 მომხმარებლისათვის, კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთათვის, ადრეცხვის ინდივიდუალური კვანძების მოწყობა 2011 წლის მაისისათვის. ხელმძღვანელობის შეფასებით ამ ვალდებულების შესაბამისად გასაღები ხარჯები არ აღემატება 4,500 ათას ლარს, საიდანაც 2,492 ათასი ლარი უკვე ინვესტირებულია კომპანიის მიერ 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

**28 პირობითი ვალდებულებები**

**(a) დავები**

კომპანიის საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობისას კომპანია წარმოადგენს მხარეს სასამართლო პროცესებში. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, ხელმძღვანელობა არ არის ინფორმირებული რაიმე ფაქტობრივ, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელების შესახებ, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კომპანიაზე.

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2010		31 დეკემბერი 2009	
	უზრუნველყოფილი დავები და სარჩე-ლები (შენიშვნა 10)	არსებული არაუზრუნველყოფილი დავები და სარჩელები	უზრუნველყოფილი დავები და სარჩე-ლები (შენიშვნა 10)	არსებული არაუზრუნველყოფილი დავები და სარჩელები
აბონენტთა საჩივრები	669	394	1,064	413
დავა სახელმწიფოსთან	-	-	7,431	-

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სულ დაგები	669	394	8,495	413
------------	-----	-----	-------	-----

**28 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

**(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები**

საქართველოში დაბეგვრის სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობაში შეტანილი ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს განმარტებული.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამ ფინანსურმა ანგარიშებმა შეიძლება განიცადოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება. საბალანსო ანგარიშის თარიღისათვის ხელმძღვანელობის მიერ იდენტიფიცირებული შესაძლო ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება გახდეს საგადასახადო კანონმდებლობისა და რეგლამენტების განსახვავებული ინტერპრეტაციის საგანი და არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშებში, შეადგენს დაახლოებით 1,500 ათას ლარს.

კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერები, რომლებიც მოიცავს ექვსწლიან პერიოდს, ღიაა საგადასახადო შემოწმებისათვის, რის შემდეგაც გადასახადებთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია ხანდაზმულად უნდა იქნეს მიჩნეული.

**(i) აბონენტებისგან მიღებული მოსაკრებლების განაწილება**

შენიშვნაში 24 მოცემული განმარტებების თანახმად, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 6,545 ათასი ლარი (2009: 7,696 ათასი ლარი) გადავადებული დღგ-ის ოდენობას. გადავადებული დღგ წარმოიქმნა 2006 წლამდე პერიოდების განმავლობაში, როდესაც ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიებისათვის დღგ-ის გადახდა ხორციელდებოდა მომხმარებელთაგან მოსაკრებლის მიღებისას და არა გაყიდვების ღირებულებიდან. შესაბამისად, აღნიშნული დაკავშირებულია 2006 წლამდე წარმოქმნილ დებიტორულ დავალიანებასთან. ამ აბონენტთა მნიშვნელოვან ნაწილს ამჟამად ემსახურება კომპანია, ხოლო ისინი, თავის მხრივ, იხდიან მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურს. კომპანია ამ აბონენტთაგან მიღებულ მოსაკრებელს ანაწილებს, უპირველეს ყოვლისა, მიმდინარე მიწოდების ღირებულების დასაფარად, ხოლო იმ თანხას, რომელიც აღემატება მიმდინარე მიწოდების ღირებულებას ვადაგასული დებიტორული დავალიანების დასაფარად. არ არსებობს ნათელი მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს ეს განაწილება განხორციელებული. კომპანიას მიაჩნია, რომ მის ხელთ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიის მიერ გამოყენებული განაწილების მეთოდი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მაგრამ ამ პოზიციასთან, საგადასახადო ორგანოების დაპირისპირების და განაწილების მეთოდის უარყოფითად შეცვლის შემთხვევაში, კომპანიას მოსთხოვენ დღგ-ის ადრე წარდგენილ დეკლარაციებში ცვლილებების შეტანას, ამასთან, დღგ-ის გადახდის დაგვიანებისათვის დაეკისრება ჯარიმები. ამჟამად, შეუძლებელია ჯარიმების ოდენობის შეფასება იმ შემთხვევისათვის, თუ საგადასახადო ორგანოებმა საჭიროდ მიიჩნიეს განაწილების მეთოდის შეცვლა.

**(c) პირობითი ვალდებულებები გადამცემი ხაზების ფლობასა და მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით**

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში უძრავი ქონების ობიექტების საკუთრებასთან დაკავშირებით არააპრობირებულია, მაგალითად მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, რომლებზეც განლაგებულია ელექტროენერჯის გადაცემის დანადგარები. კანონის შემდგომ დაზუსტებამდე, შესაძლებელია კომპანიას მოუწიოს გარკვეულ მიწის ნაკვეთებზე მფლობელობის მოპოვება ან იჯარის გადახდა სხვა მხარეებისათვის გარკვეული მიწის ნაკვეთებით სარგებლობის სანაცვლოდ.

კომპანია სარგებლობს მიწის ნაკვეთებით, რომლებიც სხვა მხარეების საკუთრებაა, თავის ქსელური ობიექტების წვდომისათვის, რაც წარმოშობს სერვიტუტის ურთიერთობებს მიწის მფლობელთან. საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე ძალიან სწრაფად იცვლება სიტუაცია და 2009 წელს წაყენებული კონკრეტული პრეტენზიები, მიუთითებს, რომ მომსახურება სერვიტუტის უფლებებთან დაკავშირებით შეიძლება დაექვემდებაროს გადახდას როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდებისთვის.

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

**სს „თელასი“**

**ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია რაიმე დამატებითი ხარჯის გამოანგარიშება, არსებობის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება კომპანიას დაეკისროს ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და, შესაბამისად, არ არის შექმნილი რეზერვი ასეთი პოტენციური ვალდებულებებისათვის.

**28 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

**(d) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები**

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

**29 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**

**(a) გარიგებები ხელმძღვანელობასთან**

სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც ექვის წევრისაგან შედგება, ანაზღაურება მოიცავდა ხელფასსა და სხვა დამატებით მოკლევადიან გადახდებს 33 ათასი და 2,767 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. (2009: 48 ათასი და 3,101 ათასი, შესაბამისად).

**(b) გარიგებები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან**

კომპანიის მიერ დაკავშირებულ მხარეებთან დადებული გარიგებები აღწერილია ქვემოთ:

**(i) შემოსავლები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2010</b>	<b>2009</b>
მშობელი კომპანიისაგან სესხის სახით მისაღები ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების გადაფასებით მიღებული შემოსავლები	1,460	-

**(ii) ხარჯები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2010</b>	<b>2009</b>
<i>ელექტროენერჯის შესყიდვა:</i>		
შვილობილი კომპანიები:		
შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“	15,934	21,907
სს „ხრამჭესი 1“*	6,625	4,701
სს „ხრამჭესი 2“*	13,311	8,915
TGR Energy Electricity Trade Co	287	-
<i>საპროცენტო ხარჯები:</i>		
სათაო კომპანიები:		
მშობელი კომპანია	-	2,247
სათაო კომპანია (შენიშვნა 22)	6,884	5,724

**(iii) ბალანსი**

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სს „თელასი“**

**ფინანსური ანგარიშის დანართები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

<i>ათასი ლარი</i>	<b>31 დეკემბერი 2010</b>	<b>31 დეკემბერი 2009</b>
<i>წინასწარი გადახდები და ავანსები (მოკლევადიანი აქტივები):</i>		
<i>შვილობილი კომპანიები:</i>		
TGR Energy Electricity Trade Co (შენიშვნა 18)	1,617	1,617
<i>სესხები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები:</i>		
<i>სათაო კომპანიები</i>		
სათაო კომპანია (შენიშვნა 22)	45,103	37,524
<i>სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება:</i>		
<i>სათაო კომპანიები</i>		
სათაო კომპანიები (შენიშვნა 23)	15,824	15,130
მშობელი კომპანია (შენიშვნა 23)	-	6,878
<i>სხვა შვილობილი კომპანიები:</i>		
შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“ (შენიშვნა 23)	72,663	76,354
TGR Energy Electricity Trade Co (შენიშვნა 23)	3,162	3,007
სს „ხრამჭესი 1“* (შენიშვნა 23)	3,213	3,212
სს „ხრამჭესი 2“* (შენიშვნა 23)	1,396	834

\* სს „ხრამჭესი 1“ და სს „ხრამჭესი 2“ აკონტროლებს მშობელი კომპანია მართვის გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე.

**30 შედარებითი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია**

ადრე ასახულ თანხებზე რეკლასიფიკაციის ზემოქმედების ანალიზი შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ცხრილით:

<i>ათასი ლარი</i>	<b>2009</b> <i>ადრე ასახული</i> <i>მდგომარეობით</i>	<b>რეკლასიფიკაცია</b>			<b>2009</b> <i>ადრე ასახული</i> <i>მდგომარეობით</i>
		<b>(a)</b>	<b>(b)</b>	<b>(c)</b>	
<i>ანგარიში საერთო შემოსავლების შესახებ</i>					
<i>(მუხლები, რომლებზეც მოხდა ზემოქმედება)</i>					
სხვა შემოსავლები	4,262	-	2,373	-	6,635
რეზერვები და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი/ანაზღაურება	(39,644)	48,099	2,842	-	11,297
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	(48,099)	-	-	(48,099)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(18,744)	-	(5,215)	(136)	(24,095)
ფინანსური ხარჯები	(13,895)	-	-	136	(13,759)

**(a) გადაფასებით მიღებული ზარალის ცალკე ასახვა**

კომპანიამ არჩია გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის, რომელიც შედიოდა მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშში, ფინანსური ანგარიშგების ცალკე კატეგორიაში ასახვა თანხის მნიშვნელოვანი ოდენობის გამო. შესაბამისი რეკლასიფიკაციები ასახულია აგრეთვე შენიშვნაში 15.

თანდართული შენიშვნები შეადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**30 შედარებითი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)**

**(b) სავაჭრო დებიტორული დავალიანების რესტრუქტურის შედეგები**

წინა პერიოდების განმავლობაში კომპანიამ დებიტორული დავალიანების რესტრუქტურის შედეგები, დებიტორული დავალიანებისათვის გათვალისწინებულ რეზერვთან ერთად, წარმოადგინა ნეტო-საფუძველზე მაშინ, როდესაც ფასს-ის მოთხოვნა ამ თანხების გახსნა მთლიანად. შესაბამისი რეკლასიფიკაციები ასახულია შენიშვნაში 17.

**(c) რესტრუქტურირებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული პროცენტები**

კომპანიამ განახორციელა რესტრუქტურირებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული პროცენტების რეკლასიფიკაცია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯებიდან სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიაში, 2010 წლის წარდგენასთან შესაბამისობის მიზნით. შესაბამისი რეკლასიფიკაციები ასახულია აგრეთვე შენიშვნებში 13 და 12.

**31 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

2011 წლის 22 თებერვალს კომპანიამ მიიღო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ გამოყოფილი სესხიდან 15,000 ათასი აშშ დოლარი (26,592 ათასი ლარი) (შენიშვნა 22).

EBRD-საგან მიღებული სესხის სახსრები, ძირითადად, გამოყენებული იქნა VTB ბანკ ჯორჯიას მიერ გამოყოფილი სესხის დასაფარად 12,833 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (22,521 ათასი ლარის ეკვივალენტი) 2011 წლის 22 თებერვალს.